# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 12 იანვარი 2005 №3 (2326) ფასი 50 თეთრი

# ლუშემბურგომ არეული ესპანური სამეფოს დალაგება დაიწყო



## ინგლისელი პოპ-ვარსკვლავების ადგილი ინგლისშია

## BECKHAM GO HOME



ტელე-ფოტოკამერების წინ დევიდ ბექემის ტრიალი და პოზიორობა, აბა, რა უჩვეულო ამბავია, მაგრამ მისი გუშინდელი მადრიდული პრესკონფერენცია ორი მიზეზით იყო გამორჩეული.

პირველი: ინგლისელი საჯაროდ პირველად სწორედ გუშინ ამეტყველდა ესპანურად მას შემდეგ, რაც წელიწადნახევრის წინ „რეალში“გადავიდა და იქაური გაზეთების თავფურცლებიც ბექემის ამ „საგმირო საქმით“ აჭრელდა.

მეორე: რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო და, ბექემს ესპანურის ცოდნა ალბათ გამოადგება კიდეც, მაგრამ ბრიტანულ მედიას თუ დავუჯერებთ, ინგლისის ნაკრების კაპიტანს ესპანური მადრიდელ თანაგუნდელებთან სალაპარაკოდ, ვინძლო, აღარც დასჭირდეს. საქმე ისაა, რომ ბრიტანელები ამტკიცებენ, „რეალის“ ახალ ბრაზილიელ მწვრთნელს ვანდერლეი ლუშემბურგოს ბექემი თვალში არ მოსდის და დიდი შანსია, სეზონის დასრულებისთანავე გუნდიდან გაუშვასო.

ყოვლისმცოდნე ინგლისური პრესა იმასაც გვამცნობს, დროა, დევიდმა რუსულ-პორტუგალიურის შესწავლა დაიწყოს, რათა რომან აბრამოვიჩთან და ჟოზე მაურინიუსთან შეხმატკბილებას აქედანვე ეცადოს, სწორედ ამ ორი ბატონის „ჩელსი“ დაასაქმებს მადრიდიდან აბარგებულსო.

სხვათა შორის, გუშინდელ პრესკონფერენციაზე დევიდ ბექემს „ჩელსიში“მის შესაძლო გადასვლაზე არც ესპანურად და არც ინგლისურად სიტყვაც არ უთქვამს.

# აფრიკელი აფრიკაში აღესრულა





გუშინ დაღუპული ფაბრიციო მეონი, მეტსახელად „აფრიკელი“ პარიზში გადაასვენეს და პარაკლისიც გადაუხადეს

## საჰარა სიკვდილის უდაბნოა

ბარსელონა-დაკარს ორშაბათს ხოსე მანუელ პერესი, გუშინ კი ფაბრიციო მეონი შეეწირა

*ბევრი მარჩიელობის თუ მითქმა-მოთქმის მერე გადასაწყვეტი გადაწყდა — საქართველოს ნაკრების მეკარის, აკაკი დევაძის უგუნდობას ბოლო მოეღო.*

*მოკლედ, დევაძე აღარც აზერბაიჯანულ „ბაკის" შეუთანხმდა და აღარც საქართველოდან წასულა, გადაწყვეტილება ბოლოწამს შეცვალა და...*

# დევაძე თბილისში საქართველოს ხედავს



— მორჩა, „თბილისში" ვრჩები. ამდენი ლაპარაკით და ჭორის მოსმენით დავიღალე. ჩავთვალეთ, რომ ისევ „თბილისის" კარში ჩავდგები.

**— კი მაგრამ, ორიოდ დღის წინ თქვი, ბაქოში მივდივარო...**

— ეგრეა, ბაქოში მართლა მივდიოდი, მაგრამ გადავიფიქრე. დროის დაკარგვას ისევ „თბილისში" დარჩენა ვამჯობინე.

**— მიზეზი?**

— აზერბაიჯანელების წინადადება არასერიოზულად ჩავთვალე. ახლა შეცდომების დრო არ არის, ამიტომაც ვთქვი „ბაკიზე" უარი.

**— ესე იგი, „თბილისს" მოსკოვში „თანამეგობრობის თასზე" სათამაშოდ მიჰყვები?**

— ეს ამბავი უკვე გადაწყვეტილია, მოსკოვში სხვებთან ერთად მეც მივდივარ.

**— ვიცით, რომ ჯერაც თბილისური „სპარტაკის" საკუთრება ხარ...**

— ჰო, მაგრამ „სპარტაკის" ხელმძღვანელობა ხელს არაფერში მიშლის. პირიქით, მეხმარება კიდეც და არც ამჯერად შევუფერხებივარ.

**— მოკლედ, „თბილისში" როდემდე ითამაშებ?**

— სეზონის ბოლომდე დარჩენაზე შევთანხმდით. მერე კი ვნახოთ...

**— ისე, აზერბაიჯანში წასვლა შენს სანაკრებო შანსებსაც ხომ არ შეამცირებდა?**

— ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ესეც არის და საქართველოში დარჩენა ამიტომაც გადავწყვიტე. ნაკრებში დაბრუნება ჩემი ოცნება იყო და არ მინდოდა, ასე ერთი ხელისმოსმით ჩამეყარა ყველაფერი წყალში.

**კახა შალამბერიძე**

# ანჩაბაძე აქ არის
## კვიპროსი ლაპარაკით მორჩა



*გიორგი ანჩაბაძემ კვიპროსულ „პარალიმნისთან" კონტრაქტი გაწყვიტა და ახლა უქმადაა.*

*კვიპროსელებს ჩვენიანი საზარდულის ტრავმისა და გუნდის ახალ მწვრთნელთან პრობლემების გამო დაშორდა, თბილისში საახალწლოდ დაბრუნდა და კარიერის გაგრძელებას ეშურება.*

— დეკემბრიდან მოყოლებული ვმკურნალობ, საზარდულმა შემაწუხა და კვიპროსის ჩემპიონატის პირველი წრის ბოლოს თამაში აღარ შემეძლო — გვითხრა გუშინ გიორგი ანჩაბაძემ — ჩემი მკურნალობის პერიოდში კი „პარალიმნიში" ახალი, ებრაელი მწვრთნელი დანიშნეს. როცა გამოვჯანმრთელდი და მსუბუქად ვარჯიშს ვიწყებდი, მწვრთნელს შევხვდი, ვილაპარაკეთ და მისი სიტყვების შემდეგ პერსპექტივა რომ ველარ დავინახე, საქართველოში დაბრუნება ვამჯობინე.

კვიპროსიდან ყველა წესის დაცვით წამოვედი, კლუბს უპრობლემოდ დავშორდი, კონტრაქტი ორმხრივად გავწყვიტეთ. ისე კი, „პარალიმნიში" ამ სეზონის ბოლომდე უნდა მეთამაშა.

**— ახლა რას აპირებ?**

— ჯერჯერობით ვისვენებ, კვიპროსელი ექიმის რეკომენდაციით დატვირთვას კიდევ ვერიდები, ერთ-ორ დღეში კი ვარჯიშს განვაახლებ.

**— კარიერას საქართველოში განაგრძობ თუ ისევ უცხოეთში?**

— სეზონის ბოლომდე ალბათ აქ დავრჩები, თუმც არც უცხოეთში წასვლას გამოვრიცხავ. თუ საქართველოში ჩემს პირობებს დააკმაყოფილებენ, სხვაგან რა დამრჩენია, აქ ვითამაშებ.

**— ჩვენთან რამდენიმე კლუბი ფინანსურად მოლონიერდა. კვიპროსიდან ჩამოსვლის შემდეგ არავინ დაგკავშირებია?**

— არა, არავინ, ჯერჯერობით ვისვენებ და მერე ვნახოთ.

**კობა ინასარიძე**

# ახალაია და ციურიხი ერთი-ერთზე



ლადო ახალაია ხვალ შვეიცარიაში, იქაურ „ციურიხთან" პირობებზე შესათანხმებლად და ამ კლუბში ჩარიცხვის იმედად მიემგზავრება.

ახალაია, გეხსომებათ, ჩემპიონატის პირველი ეტაპის შემდეგ თბილისის „დინამომ" ტრანსფერზე დააყენა. ფეხბურთელის დროებით გადაბირების მსურველიც უმალ გამოჩნდა, მას „თბილისი" ჯერ ესენგეს ჩემპიონთა ტურნირზე, მერე კი ჩემპიონატის ბოლომდეც კლუბში თამაშს სთავაზობდა. თითქმის გარიგებული საქმე კი ამ დღეებში ჩაიშალა — ახალაია ციურიხმა" მიიწვია.

თბილისის „დინამომ" ეს ინფორმაცია დაადასტურა, ითქვა ისიც, რომ კლუბიდან ფეხბურთელს პრობლემა არ ექნება და „ციურიხთან" ლადოს მხოლოდ პირად პირობებზე ლაპარაკი მოუწევს.

**კობა ინასარიძე**

# ფედერაციამ აგენტები გაანეიტრალა

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციამ ფიფას სამ ქართველ აგენტს საქმიანობა აუკრძალა და ლიცენზია დროებით ჩამოართვა.

ფიფას წესების თანახმად, მისი ლიცენზიის პატრონი არ შეიძლება იყოს კლუბისა თუ ფედერაციის თანამშრომელი.

რევაზ ჩელებაძე, ილია კოკაია და უჩა მალაზონია სწორედ ამ სტრუქტურების მუშაკები არიან და, შესაბამისად, ფედერაციამ მათ ლიცენზიაც ჩამოართვა. ჩელებაძე, მოგეხსენებათ, „ბათუმის" პრეზიდენტია, კოკაია — „ზესტაფონის", მალაზონია კი ფეხბურთის ფედერაციაში მუშაობს.

ფედერაციამ ამ სამეულს ლიცენზია დროებით ხომ ჩამოართვა და, ახლა უკვე ყველა კლუბსა თუ ფეხბურთელს ავტომატურად ეკრძალებათ ამ აწ უკვე ყოფილი აგენტების მომსახურებით სარგებლობა.

ერთი სიტყვით, საქართველოში ფიფას ლიცენზირებული აგენტი ახლა სულ სამია — აკა ტონია, გიორგი ჯიქია და ალექსანდრე სიმონიშვილი.

**კობა ინასარიძე**

*ლადო ბურდული, რომელიც თბილისის „დინამომ" სამი თვის წინ „ლოკომოტივში" გაანათხოვრა, დღესხვალ თურქეთს გაემგზავრება და ანთალიაში მოსამზადებლად მყოფ ვლადიკავკაზის „ალანიას" შეუერთდება*

# ბურდული სტამბოლისკენ



## სხვანაირად როგორ: ოსებმა ერთ ქართველსაც დაუძახეს

ოსებთან ჩვენიანის კონტრაქტის გაფორმების საკითხი ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის, თუმც, როგორც თავად ლადომ გვითხრა, ანთალიაში ის სწორედ კონტრაქტის პირობებზე შესათანხმებლად მიდის, თბილისის „დინამოდან" კი ის თავისუფალია.

— ვიზის გაკეთებას ველოდი და დღეს ესეც მოვაგვარე, ახლა სტამბოლის ბილეთიც ავიღე და გავფრინდები — გვითხრა გუშინ ლადო ბურდულმა — იქ „ალანიას" წარმომადგენლები დამხვდებიან და გუნდის ხელმძღვანელობას შემახვედრებენ. ახლა სხვას ვერაფერს გეტყვით, „ალანიას" უფროსობასთან პირად საკითხებს მოვაგვარებ და დანარჩენი მერე იყოს. ანთალიაში „ალანიასთან" ერთად ერთი კვირა ვიქნები და ფორმის შესანარჩუნებლად ვივარჯიშებ.

ლადო ბურდულთან ერთად ოსები თბილისის „დინამოს" მეორე ნახევარმცველ დავით კირკველიასაც ეპატიჟებოდნენ, მაგრამ, როგორც შევიტყვეთ, კირკველიას „ალანიაში" შესაძლო ტრანსფერი „დინამომ" და თავად ფეხბურთელმა არ ისურვეს. ამბობენ, დავითს „ალანიაზე" გაცილებით საიმედო და სოლიდური გუნდები მიიწვევენო.

„ალანიაში" კი ამჯერად ორი ქართველია, ვიტალი დარასელია და ლევან გვაზავა. მათ გუშინწინდელ ამხანაგურ მატჩში ერთი ტაიმი ითამაშეს. ჰოლანდიურ დაბალლიგელ „ალმელოს" ოსებმა 9:0 მოუგეს. გუშინ კი ალანებმა ვორონეჟის „ფაკელი-2"-თან 2:3 დათმეს. ჩვენიანთაგან არც ერთს უთამაშია.

**კობა ინასარიძე**

# სტაჟირება ტულუზში დაიწყო



**უკვე** გაუწყეთ, რომ ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი გოჩა ტყებუჩავა და მისი თანაშემწე ნიკა ჩხეიძე საფრანგეთში მიდიოდნენ სტაჟირებაზე.

ტყებუჩავა და ჩხეიძე უკვე საფრანგეთში, ქალაქ ტულუზში არიან, იქვეა ჩვენი ეროვნული ნაკრების თავკაცი ალენ ჟირესი და მისი დამხმარე გია გურულიც.

გუშინ ეს ოთხეული „ტულუზის" ვარჯიშს დაესწრო — ტყებუჩავას, ჩხეიძის და გურულის ტულუზურ სტაჟირებას მუსიე ჟირესი ხელმძღვანელობს. ქართველი მწვრთნელები იმასაც გაეცნობიან, თუ როგორ მიდის ბავშვთა ფეხბურთში მუშაობა საფრანგეთში.

დღეს კი კვარტეტი საფრანგეთის ჩემპიონატის „ტულუზ" — „სტრასბურის" მატჩს დაესწრება.

**დავით თაგართქილაძე**

# მათეს ჩვენ დავალევინებთ
## ქართული დებიუტი ჩოკოში იქნება

**მოსკოვის** „ლოკომოტივი" მზადებას განაგრძობს და მწვრთნელებიც გუნდის სადღეისო მდგომარეობით კმაყოფილები არიან. რკინიგზელთა მწვრთნელ ვლადიმირ ეშტრეკოვის თქმით, საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს 18 წლის ქართველი ახალწვეული მათე ლვინიანიძეც.

„ლოკომოტივს" დღეში ორჯერადი ვარჯიშები აქვს და დატვირთვებიც საკმაოდ დიდია, თუმც იტალიაში მყოფ მოსკოველებს ამხანაგური მატჩების ჩატარებაც დაუგეგმავთ და პირველს ხვალ გამართავენ.

— საშინელი დატვირთვები გვაქვს, მაგრამ უნდა გავუძლოთ. „ლოკომოტივში" ამას უკვე მივეჩვიე. კარგად შეეწყო გუნდს მათე ლვინიანიძეც. არ მეგონა, ასე იოლად თუ აუღებდა ალღოს აქაურობას — გვითხრა რუსეთის საუკეთესო მცველად მიჩნეულმა მალხაზ ასათიანმა, რომელსაც გუშინ იტალიაში შევეხმიანეთ.

მოსკოვში დაბრუნებამდე „ლოკომოტივი" მეორე ამხანაგურ მატჩსაც ითამაშებს. სავარაუდოდ, სწორედ ამ მატჩებში მოირგებს პირველად რკინიგზელთა მაისურას ლვინიანიძე.

**კახა შალამბერიძე**

# ახალი საგადასახადო კოდექსი სპობს ტოტალიზატორებს, საბიუჯეტო შემოსავლებს, სამუშაო ადგილებს

## შეცდომა თუ მორიგი ფოკუსი?

*ვინ ვის? თუ საქართველოს ახალ საგადასახადო კოდექსს გულდასმით გადაიკითხავთ, ასეთი კითხვა ნამდვილად უნდა გაგიჩნდეთ. ამ კოდექსის მიხედვით, საქართველოში სათამაშო ბიზნესი ფაქტობრივად შეწყდება, ტოტალიზატორები დაიხურება და სახელმწიფო ბიუჯეტსაც მილიონები მოაკლდება. მაშ, რისთვის კეთდება ეს, მავან პრივილეგირებულს ხომ არ უდებენ ლარნაკზე სათამაშო ბიზნესს?*



საქართველოში ბევრი ფოკუსი გაუკეთებიათ, ბევრი რამ გაუქრიათ და ბევრიც მიუთვისებიათ, გაწაფულ ილუზიონისტებს კი ფოკუსის საიდუმლოს ძნელად თუ უპოვი და ამჯერადაც დასკვნების გამოტანა ალბათ ნაადრევია. მაგრამ ფაქტია — ახალ საგადასახადო კოდექსში ბევრი შეუსაბამობაა და კოდექსი ტოტალიზატორებს დახურვით ემუქრება.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს ბუქმეიკერთა და ტოტალიზატორთა ასოციაციის გენერალურ მდივან *კახაბერ მანჯგალაძეს* მივმართეთ რამდენიმე შეკითხვით.

— ჩვენთან კონსულტაციები არავის უწარმოებია, ახალი საგადასახადო კოდექსი მხოლოდ მისი ამოქმედების შემდეგ გახდა ჩვენთვის ცნობილი. კოდექსი პარლამენტმა მიიღო, პროექტი კი ალბათ ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა. ამ კოდექსით, ფაქტობრივად, შეუძლებელი ხდება სათამაშო ბიზნესის წარმოება.

— კოდექსის რა პუნქტები განაპირობებს ამას?

— იმას, რითაც ადრე იბეგრებოდა სათამაშო ბიზნესი, დაემატა დამატებითი ღირებულების გადასახადი ანუ ახლა ბეგარა ოცი პროცენტით გაიზარდა. ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა სიტყვიერად გვაცნობა, რომ მეწარმემ დღგ უნდა გადაიხადოს სათამაშო დაწესებულებაში შესული თანხიდან მიუხედავად იმისა, ეს თანხა ამ დაწესებულებას მოგებული აქვს თუ არა. რეალური ვითარება კი ისეთია, რომ ბუქმეიკერულ ორგანიზაციებს შესული თანხიდან საშუალოდ ათი პროცენტი რჩებოდათ მოგება.

**— როგორც შევიტყვეთ, ახალი კოდექსი მომხმარებლის ანუ მეფსონის დაბეგვრასაც გულისხმობს...**

— დიახ, და აქაც კაზუსთან გვაქვს საქმე. მაგალითად, თუ მეფსონემ ტოტალიზატორში დადო ათი ლარი და მოიგო თერთმეტი, მან აღებული თანხის, ანუ თერთმეტი ლარის თორმეტი პროცენტი უნდა გადაიხადოს, რის შემდეგაც მეფსონე მოგებული კი არა, წაგებული აღმოჩნდება.

მაინც როგორ, რა ფორმით უნდა გადაიხადოს მეფსონემ, კერძო პირმა ბეგარა? ამის თაობაზე ბუქმეიკერთა და ტოტალიზატორთა ასოციაციის პრეზიდიუმის წევრ *თამარ ხაბელაშვილს* დავეკითხეთ.

— მეფსონე ვალდებულია, მოგებული თანხის აღებისთანავე გადაიხადოს თორმეტი პროცენტი, რაც ფიზიკურად შეუძლებელია, ხოლო ტოტალიზატორი ვალდებულია, რომ საგადასახადო ინსპექციას ყოველთვიურად აცნობოს მოგებული მეფსონის ვინაობა, მისამართი და თანხის რაოდენობა. ალბათ ძნელი წარმოსადგენი არაა, თუ ამით რა სირთულეები და დისკომფორტი შეექმნება როგორც მეწარმეს, ასევე მომხმარებელს. თანაც კოდექსში კიდევ ერთი შეუსაბამობაა — ერთი პუნქტით მხოლოდ მოგებული თანხა იბეგრება, მეორით მთლიანი თანხა. ტოტალიზატორში ყოველდღიურად საშუალოდ 200-300 კაცი შედის და ამდენი ფაქტურა როგორ, რა პრინციპით უნდა გამოწეროს ტოტალიზატორმა? მოკლედ, ძალიან ბევრ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. აქამდე სათამაშო ბიზნესი გათავისუფლებული იყო დღგ-სგან, მეწარმე მხოლოდ ფიქსირებულ გადასახადს იხდიდა.

და რატომ უნდა აწყობდეს სახელმწიფოს ტოტალიზატორების დახურვა? ჩვენც დავინტერესდით, თუ ყოველწლიურად რა თანხა შეჰქონდათ ტოტალიზატორებს ქვეყნის ბიუჯეტში.

— შარშან საქართველოში სამასამდე ტოტალიზატორი არსებობდა და მათ მიერ ბიუჯეტში შესული თანხა 7-8 მილიონ ლარს აღწევდა. ამ კოდექსის მიხედვით კი ტოტალიზატორების მუშაობა შეუძლებელი ხდება და ქვეყნის ბიუჯეტსაც მილიონები მოაკლდება, რამდენიმე ათასი მოქალაქე უმუშევარი დარჩება. მეფსონეები ან არალეგალურად გააგრძელებენ თამაშს, ან ინტერნეტით ჩავლენ ფულს უცხოურ საბუქმეიკერო კანტორებში, რის შედეგად ქვეყნიდან ფულის გადინება მოხდება და ბიუჯეტშიც თეთრი აღარ შევა — გვითხრა *კახაბერ მანჯგალაძემ*.

ცხადია, ყველაფერ ამის გამო განმარტება სახელმწიფო სტრუქტურაშიც მოვიძიეთ და ფინანსთა სამინისტროს სათამაშო ბიზნესის დეპარტამენტის ხელმძღვანელ *ბესიკ ბარქაას* დავუკავშირდით: „ეს კოდექსი ჩვენს დეპარტამენტს არ მოუმზადებია. სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტიდან გვაცნობეს, რომ კოდექსში შეცდომაა გაპარული — სათამაშო ბიზნესი დღგ-ით არ უნდა იბეგრებოდეს, ხოლო 12 პროცენტი მოგებიდანაა გადასახდელი და არა მთლიანი თანხიდან და ეს 12 პროცენტი მომხმარებელმა კი არა, მეწარმემ უნდა გადაიხადოს".

კომენტარი სამინისტროს ფინანსური პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელ *ირაკლი სირაძესაც* ვთხოვეთ: „კოდექსში წერია, რომ სამორინეებს და სხვა სათამაშო დაწესებულებებსაც დღგ დაეკისრათ. რაც შეეხება შეცდომას, ამას კვალიფიკაციას ვერ მივცემ. მე პოსტზე ახალი დანიშნული ვარ, 5 იანვარს შევუდექი საქმეს, საგადასახადო პროექტი კი დაახლოებით ნახევარი წელი მზადდებოდა, მასში რამდენიმე უწყება იყო ჩართული, დეტალებზე კი ვერაფერს მოგახსენებთ".

თქმა არ უნდა, ამ ამბავს გაგრძელება მოჰყვება. თუ მართლაც ტექნიკური შეცდომის ბრალია ყველაფერი, ვითარება ალბათ უპრობლემოდ მოგვარდება, თუ არა და, ბუქმეიკერთა ასოციაცია სახელისუფლო სტრუქტურებში აპირებს თავისი ინტერესების დაცვას.

**დავით თაგართქილაძე**

**საქართველოს ბუქმეიკერთა და ტოტალიზატორთა ასოციაცია**

ახალი საგადასახადო კოდექსიდან გამომდინარე საკითხების განსახილველად, რეკომენდაციების შესამუშავებლად და ერთობლივი ღონისძიებების დასაგეგმად ასოციაციის წევრებსა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენლებს იწვევს შეკრებაზე კინოთეატრ „რუსთაველის" მეორე დარბაზში შაბათს, 15 იანვარს, 13.00 საათზე.

**საქართველოს ბუქმეიკერთა და ტოტალიზატორთა ასოციაციის პრეზიდიუმი**



ლუის ცაკარიასი „თბილისს" უცხოეთში პირველად გაუძღვება

# რუსები უდინამოდ თბილისს გაიცნობენ

**„თანამეგობრობის თასი"** იმდენად გაიწელა და გაჩუმდა, რომ ამ თემაზე წერა მოსაბეზრებელი ხდება, მაგრამ... საქმე საქმეა და თასიც მოსკოვში ქართული გუნდი მაინც თამაშობს — „თბილისი" 14 იანვარს ჩავა მოსკოვში.

ორგანიზატორებმა, როგორც იქნა, ტურნირის ჩატარების ზუსტი თარიღები დაადგინეს. ამგვარად, „თანამეგობრობის თასის" მე-13 გათამაშება 15-23 იანვარს გაიმართება.

მოლოდინისამებრ, საგანგებო პატივი ერგოთ უკრაინის და რუსეთის ჩემპიონებს: კიევის „დინამო" და მოსკოვის „ლოკომოტივი" ნახევარფინალიდან ჩაებმებიან გათამაშებაში. თუმცა ამ ოინმა მაინც არ გაჭრა და „დინამო" მოსკოვში სარეზერვო შემადგენლობით ჩავა.

აქვე ჯგუფების შემადგენლობას ერთხელაც შეგახსენებთ:

*A ჯგუფი: „დინამო" (ბელარუსი), „ყაირათი" (ყაზახეთი), „ლევადია" (ესტონეთი), რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები (უკონკურსო);*

*B ჯგუფი: „თბილისი" (საქართველო), „ფახთაქორი" (უზბეკეთი), „კაუნასი" (ლიტვა), „დორდოი" (ყირგიზეთი);*

*C ჯგუფი: „სკონტო (ლატვია), „რეგარ-თადაზი" (ტაჯიკეთი), „პიუნიკი" (სომხეთი);*

*D ჯგუფი: „შერიფი" (მოლდოვა), „ნებიტჩი" (თურქმენეთი), „ნეფთჩი" (აზერბაიჯანი).*

ჯგუფური ეტაპის მატჩები 15, 16 და 18 იანვარს ჩატარდება. ლუის ცაკარიასის „თბილისი" კი პირველ ტურში „ფახთაქორს" ხვდება.

იმასაც შეგახსენებთ, რომ „თანამეგობრობის თასის" ბოლო გამარჯვებული თბილისის „დინამოა".

**კახა შალამბერიძე**

# კაკოი შუტნიკ...
## დემე-იუმორინა 2005



**დონეცკის** „მეტალურგს" შვებულება დაუმთავრდა და გუშინწინ შეიკრიბა. დათქმულ დროს დათქმულ ადგილზე იყო გუნდის ქართველი ლიდერი გიორგი დემეტრაძეც რომელსაც, მეტალურგთა პრესსამსახურის ცნობით, დონეცკში ჩვეული ოხუნჯობაც „უახლებია" და მცირე იუმორისტული სალამოც მოუწყვია ბაზაზე.

გუშინ კი „დემე" და მისი გუნდი ყირიმში ჩავიდნენ. „მეტალურგი" შეკრებას სწორედ იქ გაივლის, მერე კი უცხოეთსაც მიაშურებს.

დონბასელებს ყირიმში ორი საკონტროლო მატჩის ჩატარება დაუგეგმავთ უკრაინის დაბალი ლიგის გუნდებთან.

შეგახსენებთ, რომ გიორგი გახოკიძისა და გოჩა ჯამარაულის წასვლის მერე დემეტრაძე ერთადერთი ქართველია „მეტალურგში".

**კახა ზალამბერიძე**

# ახალკაცი სიომინს გზაჯვარედინზე ელის

*რუსეთის ჩემპიონატის დასრულებისთანავე რომან ახალკაცმა პირველდივიზიონელი კალინინგრადის „ბალტიკა" დატოვა და მას შემდეგ ისე გაუჩინარდა, რომ არაფერი გვსმენია. მერე გავიგეთ, ახალკაცი მოსკოვის „ლოკომოტივში" დაბრუნდაო და მაშინვე გადავწყვიტეთ, დავკავშირებოდით. რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ ახალკაცი მოულოდნელად სოჭში ამოვაჩინეთ...*




— „ბალტიკაში" იჯარის ვადა ამომეწურა, შვებულებისას ცოტა ხანს საქართველოში ვიყავი და ახლა ისევ „ლოკომოტივში" ვარ, ოღონდ სარეზერვო გუნდში.

**— რას აპირებ?**

— არ ვიცი. ახლა სოჭში ვართ შეკრებაზე და მეც გუნდთან ერთად ვემზადები.

**— ანუ ახალ სეზონში „ლოკომოტივი 2"-ში ითამაშებ?**

— მითხრეს, ექვსი თვით მაინც დარჩი და მერე რამე გამოჩნდებაო. რეალური წინადადება რომ მივიღო, ახლავე წავალ. „ლოკომოტივი 2"-ში თამაშს პრემიერლიგის ან პირველი დივიზიონის გუნდებში თამაში მირჩევნია, იქ უფრო მაღალი დონეა. თუმც ვერც იმას ვიტყვი, რომ „ლოკომოტივს" აუცილებლად დავტოვებ.

**— მოკლედ, გაურკვევლობაში ხარ...**

— თუ ძირითად გუნდში გადამიყვანენ, მაშინ აქედან ფეხს არ მოვიცვლი, ისე კი...

**— მაგის შანსი არის?**

— ჩამოვა „ლოკომოტივი" იტალიიდან და მაშინ გადაწყდება ეგ ამბავი. ვნახოთ, რას მეტყვის იური სიომინი.

**— „თანამეგობრობის თასზე" „ლოკომოტივში" ითამაშებ?**

— არ გამოვრიცხავ, რომ ვითამაშო. ამასაც სიომინი გადაწყვეტს.

**კახა ზალამბერიძე**

# მუჯირი ოპერაციის ზღვარზე

**ავსტრიულ** მაქსბუნდესლიგაში 19 თებერვლამდე შესვენებაა, თუმც დავით მუჯირის „შტურმი" უკვე შეკრებაზეა. გრაცელებმა კი დაიწყეს, მაგრამ „მუმუ" უსაქმოდაა. მას საზარდულის ტრავმა აწუხებს და შესაძლოა, ოპერაციაც დასჭირდეს. რა გითხრათ, კარგი არაფერიაო — ნაღვლიანად გვითხრა მუჯირმა, რომელსაც გუშინ ავსტრიაში დავუკავშირდით.

— დეკემბერშიც მაწუხებდა საზარდული და ბოლო ორი მატჩი ტრავმიანმა ვითამაშე. მეგონა, არდადეგებზე ტკივილი მთლიანად გამივლიდა, მაგრამ საქმე სერიოზულადაა. ხვალ ექიმები გამსინჯავენ და მეტყვიან, რამდენ ხანში დავიწყებ გუნდთან ერთად ვარჯიშს. არა მგონია, ოპერაცია დამჭირდეს, მაგრამ მაინც კშიშობ. ახლა ტრადიციული მინი-ფეხბურთის ტურნირი ტარდება ვენასა და გრაცში, შარშან ამ ტურნირზე საუკეთესო მოთამაშე გავხდი და გულშემატკივრებს ძალიან უნდოდათ, წლეულსაც მეთამაშა. ერთი სიტყვით, ოპერაცია თუ არ დამჭირდა, ჩემპიონატის განახლებისთანავე ვითამაშებ, თუ არა და...

**ილია ნანობაშვილი**



# საქართველო და დინამო ისტორიასა და სტატისტიკაში



**თბილისის** „დინამოს" ტოპ-სვლა გრძელდება. ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის 2004 წლის 31 დეკემბრის მაჩვენებლით „დინამო" მსოფლიოს ტოპ-350 გუნდში 180-ე ადგილზეა. „დინამომ" 21 საფეხურით გაიუმჯობესა წინა თვის შედეგი.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს 11-გზის ჩემპიონი საუკეთესო 350-ეულში გასული წლის სექტემბერში მოხვდა და მას შემდეგ თვიდან თვემდე წინ მიიწევს.

სასიამოვნოა ისიც, რომ „დინამოს" დარად ჩამონათვალში ზედიზედ მეორე თვეა, „თბილისიცაა" და ის შედარებით მოკრძალებულ, 266-ე ადგილზეა.

ცხრილში ჩვენების გარდა, ტრადიციულად, საუკეთესო ოცეულსა და ქართველ ლეგიონერთა გუნდების მაჩვენებლებსაც გთავაზობთ.

ბოლოს კი იმასაც გეტყვით, რომ იმავ ფედერაციის ცნობით, 2004 წლის მსოფლიოს საუკეთესო ლიგებს შორის საქართველოს ჩემპიონატი 51-ე ადგილზე გავიდა.

**კახა ზალამბერიძე**

## მსოფლიოს 350 საუკეთესო კლუბი
2004 წლის 1 იანვარი - 2004 წლის 31 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (1) | **ვალენსია** (ესპანეთი) | 274,0 |
| 2 | (6) | **ბოკა ხუნიორსი** (არგენტინა) | 270,0 |
| 3 | (2) | **მანჩესტერი** (ინგლისი) | 265,0 |
| 4 | (4) | **რეალი** (ესპანეთი) | 259,0 |
| 5 | (7) | **არსენალი** (ინგლისი) | 253,0 |
| 6 | (3) | **იუვენტუსი** (იტალია) | 252,0 |
| 7 | (8) | **სანტოსი** (ბრაზილია) | 250,0 |
| 8 | (12) | **მონაკო** (საფრანგეთი) | 245,0 |
| 9 | (15) | **პორტუ** (პორტუგალია) | 241,5 |
| 10 | (11) | **ნიუკასლი** (ინგლისი) | 238,0 |
| | (5) | **მილანი** (იტალია) | 238,0 |
| 12 | (8) | **სან პაულუ** (ბრაზილია) | 234,0 |
| 13 | (10) | **ჩელსი** (ინგლისი) | 232,0 |
| 14 | (18) | **ბარსელონა** (ესპანეთი) | 226,0 |
| 15 | (14) | **ვერდერი** (გერმანია) | 225,0 |
| 16 | (13) | **ბრიუგე** (ბელგია) | 224,0 |
| 17 | (23) | **ვილიარეალი** (ესპანეთი) | 223,0 |
| 18 | (20) | **სელტიკი** (შოტლანდია) | 217,0 |
| 19 | (18) | **ლიონი** (საფრანგეთი) | 216,0 |
| | (16) | **ინტერი** (იტალია) | 216,0 |
| 27 | (27) | **შალკე** (გერმანია) | 193,0 |
| 50 | (47) | **რეინჯერსი** (შოტლანდია) | 151,0 |
| 72 | (52) | **დინამო** (კიევი, უკრაინა) | 131,5 |
| 94 | (95) | **ვენტსპილსი** (ლატვია) | 116,0 |
| 129 | (128) | **სკონტო** (ლატვია) | 103,0 |
| 167 | (168) | **ლოკომოტივი** (რუსეთი) | 90,5 |
| 180 | (201) | **დინამო (საქართველო)** | 88,5 |
| | (130) | **ცსკა** (სოფია, ბულგარეთი) | 88,5 |
| 192 | (182) | **სეპაჰანი** (ირანი) | 87,5 |
| 266 | (346) | **თბილისი (საქართველო)** | 70,5 |
| 274 | (303) | **მეტალურგი** (დონეცკი, უკრაინა) | 69,0 |
| 337 | (242) | **ტვენტე** (ჰოლანდია) | 61,5 |

# თქვენ არასოდეს იქნებით მართად!

**ეს მოსალოდნელიც იყო: „ლივერპულსა" და „ევერტონს" არასოდეს ექნებათ ერთიანი სტადიონი, რის შესახებაც ამ ბოლო ხანს ბევრს ლაპარაკობდნენ**

გეგმა კი ასეთი იყო, რომ სტენლი პარკში ახალი სუპერ გრაუნდი აშენდებოდა და ენფილდელები და გუდისონელები იქ გადაბარგდებოდნენ. კლუბთაშორის მოლაპარაკებებში თვით სპორტის მინისტრი რიჩარდ კაბორნი მონაწილეობდა, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

იდეა არასოდეს იყო პოპულარული, განსაკუთრებით „ლივერპულის" ფანებს შორის.

საქმე ისეა, რომ „ლივერპულს" მაინც ექნება ახალი სტადიონი, ახალი „ენფილდი", ღარიბ „ევერტონს" კი ქალაქის მერიის განცხადებით, ასევე დაეხმარებიან 21-ე საუკუნის სტადიონის აშენებაში. „ევერტონს" ადგილიც შერჩეული აქვს, ქალაქის კინგზ დოკში, ოღონდაც ამისთვის 200 მილიონი გირვაქნა სჭირდება. „ლივერპული" კი სტენლი პარკზე 110-მილიონიანი სტადიონის მშენებლობას აპირებს.

**ირაკლი გამყრელიძე**




ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერნანდო მორიენტესს რაფაელ ბენიტესი ჯერ კიდევ ელის

# ბენიტესი პასუხს ითხოვს
## მორიენტესი ლიონსაც მოუნდა

ფერნანდო მორიენტესის „ლივერპულში" გადასვლასთან დაკავშირებით მადრიდის „რეალის" თავკაცთა ყოყმანმა და ინგლისელთა ესპანელი მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი მოთმინებიდან გამოიყვანა. ლოდინით გაბეზრებულმა ბენიტესმა გუშინ განაცხადა, რომ „რეალის" მხრიდან საქმის გაჭიანურებას ველარ მოითმენს. „ჩვენ მადრიდელების პასუხს სამყაროს აღსასრულამდე ვერ დაველოდებით. კარგი იქნება, თუ მორიენტესზე ბოლოს და ბოლოს რაიმეს გადაწყვეტენ. ორიოდ დღეს კიდევ დავიცდით და მერე ახალი ფეხბურთელის ძებნას დავიწყებთ" — თქვა ბენიტესმა.

ინგლისელები მორიენტესში 9 მილიონი ევროს იხდიან, რაც ესპანელებს ეცოტავებათ და ამიტომაც ზოზინებენ. თავად მორიენტესს კი „ლივერპულში" გადასვლა უნდა, თუმც ამ გაურკვევლობის გამო იძულებულია, „რეალის" სათადარიგოთა სკამზე იჯდეს.

„ელ მოროზე" მხოლოდ ინგლისელები როდი ოცნებობენ. „მონაკოში" ფერნანდოს შარშანდელი ბრწყინვალე თამაში ფრანგებსაც კარგად ახსოვთ და იქაურთა ლიდერი „ლიონიც" მზადაა, მოედნის დანატრებული ფორვარდი თავისთვის დაიგულოს. „თუ ფერნანდო „ლივერპულში" არ წავა, მის ტრანსფერზე ვიფიქრებთ" — უთხრა „ლიონის" პრეზიდენტმა ჟან მიშელ ოლამ „ლე პარიზიენს". ამავე გაზეთის ცნობით, ფრანგები მორიენტესის შესაძენად 10 მილიონ ევროს შეელევიან.

**ლადო ხომერიკი**





# ყველაფერში მე ვარ დამნაშავე?!
## ლემანმა ვენგერს შეუტია

*„არსენალის" მეკარე იენს ლემანმა მენეჯერ არსენ ვენგერს შეუტია მას შემდეგ, რაც ბოსმა თქვა, ლემანმა ეგებ „ჰაიბერი" დატოვოს კიდეცო*

**უკვე** გვარიანი დროა, რაც 35 წლის ლემანი სკამზე ზის, ადგილი კი ძირითადში ესპანელ მანუელ ალმუნიას უჭირავს. ვენგერის ანგარიშით, ლემანს სეზონის ბოლოს დაითხოვენ, თუმცა, იმასაც ამბობენ, რომ მეკარეს „შტუტგარტი" და მიონხენგლადბახის „ბორუსია" უკვე ელიან.

გერმანელმა მეკარემ კი თქვა: „ამ გუნდში ბოსის მიდგომა ისეთია, რომ გოლი მხოლოდ მეკარის ბრალია, თითქოს ისე გოლი არ გადის".

ვენგერმა მას შემდეგ აითვალწუნა ლემანი, როცა ამ უკანასკნელმა ნოემბერში „ლივერპულთან" მატჩის ბოლო წამებზე ნილ მელორის დარტყმული გაუშვა, „არსენალმა" კი თამაში წააგო.

ლემანმა პირველად ილაპარაკა სახალხოდ კლუბში თავისი მდგომარეობის შესახებ: „სკამზე რომ დამსვეს, გამიკვირდა. ბოდიში, მაგრამ რა დავაშავე? ასეთი წესი აქვთ ამ კლუბში, ყველაფერს მეკარეს აბრალებენ. ვენგერმა უკვე ორჯერ მიმანიშნა თავის ინტერვიუებში, რომ თუ წასვლა მინდა, შემიძლია წავიდე. ის არ უხსენებია, რომ სამწლიანი კონტრაქტი მაქვს. ეგებ ბლომად გოლები გასულა ჩემი შეცდომით, მაგრამ ტიპიური სამეკარეო შეცდომა მე არ დამიშვია. ზოგჯერ საჯარიმოს გარეთ გამოვვარდნილვარ და იქ დამიკარგავს ბურთი, მაგრამ ეს ჩემი რისკიანი თამაშის გამო ხდება.

რატომ უნდა ვიყო უვარგისი? აქ ჩამოსვლისთანავე ჩემპიონი გავხდი და თამაშიც კი არ წამიგია. ვარჯიშით თავს ვიკლავ".

ამის მიუხედავად, ვენგერმა წინა კვირაში თქვა, რომ ლემანი მხოლოდ სათასო მატჩებს ითამაშებს, ჩემპიონატში კი კარში ალმუნია იდგება. თუმცა, ეს უკანასკნელიც გვარიან შეცდომებს უშვებს. ლემანს კი თურმე ინგლისი მოსწონს და კონტრაქტის ბოლომდე, 2006 წლამდე არსად წასვლას არ აპირებს.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ფერგიუსონი ჩელსის ცხრით ამინებს



**დღეს** ინგლისის ლიგის თასის ნახევარფინალში „ჩელსი" „მანჩესტერ იუნაიტედს" მასპინძლობს. გასულ შაბათს სერ ალექს ფერგიუსონის გუნდმა ასოციაციის თასზე უსახელო „ექსეტერს" ვერ მოუგო და ამიტომ შოტლანდიელი მწვრთნელი სადღეისოდ შემადგენლობაში ცვლილებებს აპირებს. „ექსეტერთან" მატჩის მერე ფერგიუსონმა ქომაგებს მოუბოდიშა და მათ საამებლად „სტემფორდ ბრიჯზე" შედარებით გამოცდილ ფეხბურთელებს გაიყვანს. „ახალგაზრდები, რომლებმაც „ექსეტერთან" ითამაშეს, ძირითად შემადგენლობაში აღარ იქნებიან — განაცხადა მანჩესტერელთა თავკაცმა — „დიდებმა" შვიდი დღე დაისვენეს და ძალების აღსადგენად ეს საკმარისი დროა, თან მომავალ შაბათს „ლივერპულთან" მატჩი გველის"

ტრავმამოშუშებული ჯონ ოში და კვინტონ ფორჩუნი დღეს სავარაუდოდ ითამაშებენ, ლუი საჰა გამოჩენაც მოსალოდნელია, ხოლო უეინ რუნიმ სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა და „ჩელსის" ისიც შეუტევს.

სერ ალექს ფერგიუსონის ხელქვეით „მანჩესტერ იუნაიტედს" ლიგისა და ასოციაციის ცხრა ნახევარფინალიდან ერთიც არ წაუგია. შოტლანდიელი მწვრთნელი იმედოვნებს, რომ ნავსი არც „ჩელსისთან" გატყდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ელბერი წაშალეს




ჯოვანი ელბერი „ლიონმა" განაცხადში არ შეიყვანა

**ჯოვანი ელბერი** „ლიონის" შემადგენლობიდან ამოშალეს, საქმე ისაა, რომ საფრანგეთში კლუბებს მხოლოდ ოთხი ევროკავშირელის ყოლის უფლება აქვთ. „ლიონისთვის" ზედმეტი კი ელბერი აღმოჩნდა და ნუსხაში ვერ მოხვდა. სხვა ბრაზილიელები — ჟუნინიო, კრისი, ნილმარი და კლაუდიო კასაპა გუნდის განაცხადში მოხვდნენ. ბრაზილიელი ფორვარდი კლუბის ბოსებთან შეხვედრას და საუბარს აპირებს. „დეკემბერში შევთანხმდით, რომ 8 იანვრამდე სამშობლოში დავრჩებოდი და სარეაბილიტაციო კურსს გავივლიდი — განაცხადა ნაწყენმა ელბერმა — აქ ჩამოსულს კი ასეთი ამბავი დამხვდა. მსგავსი პრობლემა არასოდეს მქონია და ამიტომ გაოგნებული დავრჩი. კლუბის მხრიდან ეს არაპროფესიული საქციელია".

**ვაჟა ხუციშვილი**




# ბარსას პოკერი

## ფლო, კარეუ, იაკინტა, სანტა კრუზი და დამალული ტუზი




კატალონიურ „ბარსელონაში“ დიდი სატრანსფერო აჟიოტაჟია. იტალიურ „სპორტში“ გამოქვეყნებული ცნობების მიხედვით, ხუან ლაპორტას ემისრებმა სტამბოლის „ბეშიქთაშის“ ნორვეგიელ იონ კარეუსთან ხელშეკრულება თითქმის გააფორმეს და საქმის მოკვარახჭინებას — კარეუს „ბარსელონაში“ 2005 წლის 30 ივნისამდე იჯარით გადაყვანას — ოღონდ დაინტერესებულ მხარეთა საბოლოო შეთანხმებაღა აკლია.

ხსენებული გაზეთი იმასაც გვამცნობს, რომ ლაპორტას წარმომადგენლები სკანდინავი ფორვარდის იჯარასთან დაკავშირებით არ იჩქარებენ, რამეთუ პრიმერადივიზიონის გრანდს კარეუს გარდა იანვრის სატრანსფერო ბაზარზე სხვა, არანაკლებ სახელიან ფეხბურთელთათვის დაუდგამს თვალი. ამ სავარაუდო „ბარსელთა“ შესახებ „სპორტი“ გარდა იდუმალი ფრაზებისა — „ბარსელონას“ სახელოში ტუზი აქვს დამალული — არაფერს გვეუბნება, თუმც იტალიური „უდინეზეს“ 25 წლის ვინჩენცო იაკინტასა და „სიენას“ ასევე ნორვეგიელ ვეტერან ტორე ანდრე ფლოზე სხვა კატალონიური გაზეთი, „ელ მუნდო დეპორტივო“ მოგვითხრობს.

უდინელი იაკინტას „კამპ ნოუზე“ მიყვანა თავდაპირველად იჯარით იყო გადაწყვეტილი, მაგრამ სადღეისოდ ბარსელონელები იტალიელის ყიდვას აპირებენ, თუ, რა თქმა უნდა, „უდინეზე“ ხუან ლაპორტას მიერ შეთავაზებულ 4 მილიონ ევროს დაყაბულდა. ტორე ანდრე ფლოს შეძენა კი „ბარსას“ გაცილებით იაფი დაუჯდება, მაგრამ „ჩელსისა“ და „რეინჯერსის“ ყოფილ თავდამსხმელს ესპანურ გრანდში სათამაშოდ ერთი სერიოზული დაბრკოლება შეუშლის ხელს — ჩრდილოელი ფორვარდი 31 წლისაა.

გარდა ამისა, „ბარსაში“ შესაძლოა მიუნხენის „ბაიერნის“ პარაგვაელი როკე სანტა კრუზიც ვიხილოთ, რომელსაც ესპანური პასპორტი აქვს. ბავარიული გიგანტი მზად არის, ბარსელთა წინადადება განიხილოს, მით უფრო, რომ ახალგაზრდა სამხრეთამერიკელს „ბაიერნის“ ამჟამინდელი მწვრთნელი, ფელიქს მაგათი ძირითადში იშვიათად ათამაშებს.

**ლადო ხომერიკი**




# ბექჰემს რებეკა შეახსენეს

*ის, რომ გულშემატკივარი მეტოქე გუნდის ფეხბურთელების წონასწორობიდან გამოყვანას ცდილობს, ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ხანდახან ეს მცდელობა მეტად სახალისო ფორმას იღებს.*

*ასე მაგალითად, წინა უქმეებზე, მადრიდული დერბის დროს, „ატლეტიკოს“ ფანებმა ტრიბუნაზე აი, ასეთი პლაკატი გამოფინეს. შიშველი მამაკაცი დევიდ ბექჰემია, შიშველი ქალი კი რებეკა ლოსი.*

*ვინ არის ბექჰემი, აღარ შეგახსენებთ, ლოსზე კი გავიხსენოთ, რომ ბექჰემის ესპანეთში გადაბარგების მერე ფეხბურთელის მდივნად მუშაობდა და არა მარტო მდივნად. მერე კი ლოსმა თავისი შთაბეჭდილებები ტაბლოიდებს მიჰყიდა 350 ათას დოლარად.*

*პლაკატმა, შეიძლება ითქვას, გაამართლა, რაკი ბექჰემი მოედანზე არაფრით გამოირჩეოდა, თუმცა ვერც „ატლეტიკო“ გამორჩა რამეს. მოგეხსენებათ, 0:3 წააგო.*

**კოტე კეკელია**

*სტატისტიკოსებმა დათვალეს, რომ 1999 წლიდან, რაც იკერ კასილიასი მადრიდის „რეალშია“, 254 შეხვედრაში 960-ჯერ მოიგერია ბურთი. ვინც ამასწინანდელ მადრიდულ დერბის, „ატლეტიკო“— „რეალს“ უყურა, კიდევ ერთხელ გაოცდებოდა ამ ახალგაზრდა მეკარის წარმოუდგენელი რეაქციით. ქვემოთ გთავაზობთ იკერ კასილიასის მცირე ინტერვიუს, რომელიც მადრიდულ AS-ში გამოქვეყნდა*

# იკერ კასილიასს 960 დაუთვალეს

**— პრიმერადივიზიონის ლიდერ „ბარსელონას“ 7 ქულით მიუახლოვდით...**

— როდესაც მოგებას იწყებ, ყველაფერი კარგად მიდის. ძალიან მახარებს, რომ პრიმერადივიზიონის ლიდერთან ქულათა სხვაობა საკმაოდ შევამცირეთ. ვფიქრობ, რომ ახლა ჩვენთვის კარგი პერიოდი დადგა.

**— „ვისენტე კალდერონზე“ „რეალმა“ „ატლეტიკოსთან“ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. რას გვეტყოდით ამ მატჩის შესახებ?**

— რთული შეხვედრა იყო. ვაღიარებ, რომ თამაშით „ატლეტიკომ“ გვაჯობა, მაგრამ საგოლე მომენტები ჩვენ უკეთ გამოვიყენეთ.

**— თამაშის მერე ფერნანდო ტორესი რაზე გესაუბრათ? „კალდერონზე“ „ელ ნინიომ“ რამდენიმე კარგი საგოლე შანსი გააცუდა...**

— ძირითადად მატჩის პერიპეტიებზე ვილაპარაკეთ. ვთქვით, რომ „ათლეტებს“ უამრავი სახიფათო ეპიზოდი ჰქონდათ, ჩვენ კი სამი და... რა გაეწყობა, ასეც ხდება ხოლმე.

**— რა შეიცვალა „რეალში“ ვანდერლეი ლუშემბურგოს გამწვრთნელების შემდეგ?**

— ყოველთვის, როცა ახალი მწვრთნელი მოდის, მაშინვე ყველაფერი იცვლება — ვარჯიშის მეთოდი, ფეხბურთელებთან დამოკიდებულება და სხვა დანარჩენიც. ლუშემბურგო გარსია რემონისა და კამაჩოსგან აბსოლუტურად განსხვავდება. ჯერჯერობით მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ეს გამოწვევა („რეალის“ თავკაცად მის დანიშვნას ვგულისხმობ) ვანდერლეისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ისევე როგორც ჩვენთვის, მოთამაშეებისთვის.

**— მადრიდის „რეალზე“ ხშირად ამბობენ, რომ ეს არის იკერ კასილიასი, რონალდო და... 9 დანარჩენი ფეხბურთელი.**

— ეს სიმართლეს არ შეეფერება. სინამდვილეში ჩვენ გვყავს გუნდი, რომლის ყოველი წევრი მატჩის ბედის გადაწყვეტას შშვენივრად მოახერხებს. გარდა გუნდური თამაშისა, ჩვენები ინდივიდუალურადაც ძლიერები არიან — აბა, გაიხსენეთ, სეზონის დასაწყისში ბექჰემის მიერ საჯარიმოებით გატანილი ორი ბურთი, რომელმაც 6 ქულა მოგვიტანა.

**— ოლივერ კანსა და ფრანჩესკო ტოლდოზე უკეთეს თამაშს უჩვენებთ, ჯანლუიჯი ბუფონსაც თითქმის გაუტოლდით. ევროპის პირველ მეკარეობაზე არ ფიქრობთ?**

— მართალი გითხრათ, ევროპაში საუკეთესოობაზე არც მიფიქრია. ჩემი მიზანი მსოფლიოს პირველი მეკარეობაა და ვიცი, რომ ადრე თუ გვიან ამას ნამდვილად მივაღწევ.



# ჩაო, ჯიჯი!
## სიენამ სიმონის დე კანიო ამჯობინა

*იტალიური სერია A-ს მწვრთნელთა ამქარს ორშაბათს საღამოს კიდევ ერთი წევრი გამოაკლდა, „სიენამ" ჯიჯი სიმონი გაუშვა. იმავე საღამოს ტოსკანური კლუბის ახალ მესაჭედ ლუიჯი დე კანიო დაინიშნა*




ლუიჯი სიმონის ნაცვლად „სიენა" ლუიჯი დე კანიოს დაყრულზე იცეკვებს

ჯიჯი სიმონის გაშვებაზე ლაპარაკი გუშინ და გუშინწინ არ დაწყებულა, ამაზე ხმები კარგა ხანია დადიოდა, რაკიღა კლუბი მთავარ იტალიურ სერიაში შედეგიანობით ვერ დაიკვეხნის, პრეზიდენტ პაოლო დე ლუკას მოთმინების ფიალაში ბოლო წვეთი კი ბოლო ტურში „პარმასთან" საშინაო მარცხი გამოდგა.

სიმონი, ვინაც გეხსომებათ, თავის დროზე „ინტერში" მუშაობდა, „სიენაში" ზაფხულში მივიდა და მწვრთნელის პოსტზე ჯუზეპე პაპადოპულო შეცვალა. ეს ის პაპადოპულოა, ახლახან „ლაციოს" მწვრთნელად რომ დაინიშნა და პირველივე მატჩში „რომას" სძლია. აქამდე „ლაციოს" რომაულ დერბიში მთელი ხუთი წელი ვერ ემარჯვა.

„სიენას" ახალი თავკაცი დე კანიო კი ბოლოს 2002-2003 წლების სეზონში მუშაობდა სერია A-ს კლუბში. ეს „რეჯინა" იყო. იქამდე მას „უდინეზესა" და „ნაპოლიში" უმუშავია, ბოლოს კი „ჯენოას" მწვრთნელი გახლდათ, საიდანაც პრეზიდენტმა ენრიკო პრეციოზიმ ამ სეზონის დაწყებისთანავე, როგორც ამბობენ, უსამართლოდ გაუშვა.

ზემოთ ვახსენეთ, სიმონის გაშვების თაობაზე კარგა ხანია ლაპარაკობდნენო, თუმცა თავად სიმონისთვის ეს ცნობა მეხის დაცემასავით იყო. გაშვების მერე მან თქვა: „პრეზიდენტი დე ლუკა ყოველთვის ამბობდა, რომ ჩემი ბოლომდე სჯეროდა. ამიტომ ჩემთვის მოხსნის ამბავი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით იყო. მგონია, რომ ეს არ იყო სწორი გადაწყვეტილება, ჩემთვის კიდევ უნდა მოეცათ დრო."

პრეზიდენტმა კი თავის გადაწყვეტილებას ასეთი კომენტარი მიაყოლა: „ჯიჯი სიმონის ხელში გუნდი მხოლოდ შიგადაშიგ თამაშობდა კარგად, მაგრამ ასე სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ. ჯიჯის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო, მან ჩართლა უზარმაზარი სამუშაო გასწია, მაგრამ წინსვლისთვის, ვფიქრობ, ახალი მწვრთნელი გვჭირდებოდა და დე კანიო სწორედ ის კაცია, ვინც „სიენას" წინ გაუძღვება."

**ირაკლი ნინიძე**

# ბაცანიმ და ინძაგიმ გუნდები გაცვალეს
## ლოტიტოს აუხდენელი ოცნება ბაჯოა

*ქვემოთ იმ გარიგების დეტალებზე მოგახსენებთ, რომლის ძალითაც „ლაციომ" და „სამპდორიამ" სიმონე ინძაგი და ფაბიო ბაცანი გაცვალეს*



სიმონე ინძაგი



სიმონე ინძაგი

„სეზონი გენუაში დავიწყე, სადაც ხუთი დაძაბული თვე გავატარე — ამბობს ბაცანი — მაგრამ „სამპდორიაში" რაღაცეები შეიცვალა. იქიდან არ გავქცეულვარ, უბრალოდ კლუბი მიხვდა, რომ უმჯობესი იქნებოდა, დედაქალაქში თუ გადავიდოდი."

ბაცანი „ლაციოში 29 ნომრით ითამაშებს, მისი დებიუტი კი, სავარაუდოდ, ხუთშაბათს, „კალიარისთან" იტალიის თასზე მატჩში შედგება.

დედაქალაქიდან ზღვისპირა ქალაქში გამგზავრებულმა უმცროსმა ინძაგიმ კი, ვერ გეტყვით გულწრფელად თუ დიპლომატიის ნორმების დაცვით, თქვა: „სამპდორიაში" უზარმაზარი ენთუზიაზმით მოვედი. ჩემს რამდენიმე ახალ თანაგუნდელს უკვე შევხვდი. სტეფანო საკეტისთან ერთად თავის დროზე „პიაჩენცაში" ვთამაშობდი. დანარჩენებს მეტოქეებად შევხვედრილვარ. რომში რამდენიმე დიდებული სეზონი გავატარე. „ლაციოს" ძალიან ბევრი რამ მივეცი და კლუბმაც ბევრი რამ შემძინა. ახლა კი ჩემი გული მთლიანად „სამპდორიას" ეკუთვნის."

ინძაგიმ ისიც თქვა, გენუის ლუიჯი ფერარის სტადიონი უმშვენიერესია იტალიაშიო.

ოღონდ ისიცაა, რომ ამ დითარამბების მოსმენის მერე აღვნიშნოთ, რომ ინძაგი და ბაცანი ახალ კლუბებში მხოლოდ ექვს თვეს გაატარებენ და თავიანთ მუდმივ ნავსაყუდელს დაუბრუნდებიან. „სამპდორიას" გენერალურმა დირექტორმა ბეპე მაროტამ თქვა, ინძაგის კონტრაქტის საბოლოოდ გამოსყიდვის განზრახვა არ გვაქვს და ვერც ბაცანის შეველევით, უთუოდ დავიბრუნებთ უკანო.

„სამპდორიას" სატრანსფერო ამბიციები კი მხოლოდ ინძაგის ექვსთვიანი იჯარით არ ამოიწურება. გენუელებს ალვარო რეკობაც სდომებიათ, მაგრამ...

ბეპე მაროტა: „მე და მწვრთნელ ვალტერ ნოველინოს საუკეთესო შთაბეჭდილებები დაგვრჩა რეკობასთან შეხვედრის მერე. ჩვენ მას ამასწინათ ვენეციაში შევხვდით. ბედნიერები ვიქნებით, ჩვენთან თუ გადმოვა, მაგრამ ვეჭვობ, ეს მხოლოდ ოცნებაა."

თუმცა ის, რაც „სამპდორიასთას" ოცნებაა, „ლაციოსთვის", მისი ამბიციებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, სავსებით რეალური გეგმებია. რომაელთა პრეზიდენტმა კლაუდიო ლოტიტომ ფაბიო ბაცანის გადაბირების მერე თქვა, ამაზე გაჩერებას არ ვაპირებ და ბლომად ახალი ხალხის მოყვანა მსურსო.

პრეზიდენტს სახელები ხმამაღლა არ უთქვამს და პირველი რაც გააკეთა, ჯულიანო ჯანიკედას კონტრაქტის განახლება შესთავაზა. ეს საჩქარო საქმეა, რაკი ჯანიკედას წაყვანას რამდენიმე კლუბი, მათ შორის „იუვენტუსი" ეშურება. გარდა ამისა, ლოტიტომ ისიც თქვა, ფაბიო ლივერანის წასვლა უნდოდა, მაგრამ რაც მწვრთნელად ჯუზეპე პაპადოპულო დავნიშნეთ, გადაიფიქრაო.

ისე ჩანს, ლოტიტო რასაც ჩაიფიქრებს, გამოსდის. მის ანგარიშზე ჯერჯერობით მხოლოდ ერთი აუხდენელი სურვილია: სეზონის წინ ძალიან უნდოდა, რობერტო ბაჯო მოეყვანა, მაგრამ ცხენისკუდამ შორს დაიჭირა, გამოსამშვიდობებელი მატჩი უკვე გავმართე და ფეხბურთში მომბრუნებელი არ ვარო.

**ირაკლი ნინიძე**



ალესანდრო პარიზი

# მორატის მილანში პარიზი უნდა

**ვერ ვიტყვით**, „ინტერი" ცუდი გუნდიაო, მაგრამ კლუბის უფროსობას გადაუწყვეტია, უკეთესები რომ გავხდეთ, „მესინადან" ალესანდრო პარიზის მოყვანა უპრიანი იქნებაო. სანაცვლოდ მილანელები ჯოვანი პასკუალეს იძლევიან.

27 წლის სიცილიელი მცველი, ვინაც ბრწყინვალედ ატარებს ამ სეზონს, „ინტერის" პრეზიდენტს მასიმო მორატის ისე მოსწონებია, რომ ლაციოელ სეზარზე გული აცრუებია, არადა, აქამდე მის სატრანსფერო სიაში ფავორიტი სწორედ ის იყო.

„მესინა" პარიზის ეგებ იოლადაც შეელიოს, რაკი ამ ბოლო დროს ფეხბურთელების გასხვისებით აქტიურადაა დაკავებული. მესინელებმა ყმაწვილი მცველი სიმონე ერამო სერია C-„ტარანტოში" იჯარით გაუშვეს, რაკი ამ სეზონში ერამო სულ ორჯერ გამოჩნდა მოედანზე და „მესინასთვის" ის ზედმეტი ტვირთი იყო. გარდა ამისა, სიცილიელებმა სერია B-ს „არეცოს" მირკო კონტე მიჰყიდეს, ვინაც ადრე „სამპდორიას" ფეხბურთელი იყო.

მაგრამ ცხადია, რომ ფეხბურთელებს თუ ყიდი, სანაცვლოდ ვიღაც უნდა იყიდო. „მესინაში" „უდინეზეს" ფორვარდის დინო ფჯავას მიყვანა სურთ. გარდა ამისა, კლუბმა ახალი სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა არტურო დი ნაპოლის.

ბოლოს კი, რაკი მოსალოდნელ ტრანსფერებზე ვლაპარაკობდით, ერთიც დავამატოთ: „ბოლონიამ" „პესკარას" ვალდო სმიტი მიჰყიდა.

**კოტე კეკელია**



ხოაკიმ კაპაროსი



ავგუსტო ლენდოირო

# ლენდოირომ მოიფიქრა

## ირურეტას მემკვიდრეობას კაპაროსს შესთავაზებენ

**გალისიურ** „დეპორტივოში" ხავიერ ირურეტას სამწვრთნელო ხანა სავარაუდოდ დასასრულს მიუახლოვდა. ლაკორუნიელთა ბასკი თავკაცის პრესაში გამოთქმული მოსაზრებებით თუ ვიმსჯელებთ, მას თვალი დამსახურებული დასვენებისკენ გაურბის. კლუბის პრეზიდენტი ავგუსტო ლენდოიროც აქედანვე იწყებს მზადებას, რათა 2004-05 წლების სეზონის მიწურულს „რიასორზე" ირურეტას ღირსეული მემკვიდრე მიიყვანოს. რამდენიმე, „დეპორისთვის" შეუფერებელი კანდიდატის განხილვის მერე — მაგალითად დელ ბოსკე, ვისაც ირურეტაზე ოთხჯერ მეტი ხელფასი უნდა, ან ხოსე ანტონიო კამაჩო, რომელმაც სატრანსფერო საქმეებში პრეზიდენტის მხრიდან სრული ჩაურევლობა მოითხოვა — სენიორ ლენდოირომ დაასკვნა, რომ გალისიელთა მომავალ მწვრთნელად ხოაკიმ კაპაროსი გამოდგება, სპეციალისტი, რომელიც ამჟამად „სევილიას" თავკაცია.

კაპაროსს „სევილიასთან" კონტრაქტი 30 ივნისს უმთავრდება, დიდ ფულსაც არ ითხოვს და უფროსობასთან საერთო ენის გამონახვაც მეტ-ნაკლებად ეხერხება. რაც მთავარია, იგი თავისი საქმის პროფესიონალია — „სევილია" ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად იბრძვის და სადღეისოდ პრიმერადივიზიონის ცხრილში მეხუთე ადგილზეა.

იმ შემთხვევაში თუ კაპაროსი „სევილიას" ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოაპოვებინებს, ბუნებრივია, ნიჭიერ მწვრთნელს ანდალუზიელები „დეპორს" არ დაუთმობენ. ამიტომაც ლენდოიროს სათადარიგო კანდიდატებიც შეურჩევია — „ოსასუნას" მექსიკელი თავკაცი ხავიერ აგირე, გალისიელი ფერნანდო ვასკესი და ბასკი ხოსე მანუელ ესნალ პარდო, რომელსაც საფეხბურთო ევროპა „მანეს" მეტსახელით უფრო იცნობს.

**ლადო ხომერიკი**

# საით, დეზერტირო?!

## ვაგნერ ლავს რუსული არმია ფიფაში უჩივის

**რუსეთის** ჩემპიონატის დაწყებამდე ჯერ ადრეა, მაგრამ სატრანსფერო ბაზარზე კლუბები უკვე ფუსფუსებენ. ლონდონის „ჩელსიში" ირჟი იაროშიკის, პსჟ-ში სერგეი სემაკის და „კორინთიანსში" ვაგნერ ლავის წასვლის შემდეგ ცსკა შესაძლოა კიდევ სამმა ფეხბურთელმა დატოვოს. მოსკოვიდან აბარგებაზე ივიცა ოლიჩი, ჩიდი ოდია და დანიელ კარვალიუ ფიქრობენ. სამეულის ბედი ჯერჯერობით გაურკვეველია.

ცსკა-ს ბირთვის იშლება, არადა, არმიელებს ლისაბონის „ბენფიკასთან" უეფას თასის მერვედფინალური ჯახი ელით. ეს შეხვედრა რუსეთისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან „ბენფიკასთან" ერთი მატჩის ფრედ დამთავრების შემთხვევაშიც კი რუსეთი იმ სარეიტინგო ქულას მიიღებს, რომელიც 2006 წელს ჩემპიონთა ლიგაში ორი გუნდის გაყვანის უფლებას მისცემს.

ცსკა-მ გუშინწინ ფიფაში საჩივარი აფრინა — ბრაზილიელ ვაგნერ ლავს ჩვენთან ხუთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს და „კორინთიანსში" მისი გადაყვანა უკანონოდ მოხდაო. ვაგნერი 15 იანვრისთვის მოსკოვში თუ არ დაბრუნდება, რუსები ფიფას ამ საქმის გარჩევას მოსთხოვენ.

ცსკა-დან გარბიან, მოსკოვის „დინამო" კი ამასობაში ფეხბურთელებს იმატებს. დინამოელებმა „ბრაგასა" და პორტუგალიის ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდი სისერა სამნახევარ მილიონ ევროდ შეიძინეს. სისერამ გუნდთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა ხელშეკრულების ერთ წლით გაგრძელების უფლებით. მოსკოვის „დინამო" პორტუგალი დერლეი სილვას გადაბირებასაც აპირებს, რომელიც ამჟამად თურქეთში მყოფ რუსულ გუნდთან უნდა ჩასულიყო და საკონტრაქტო პირობები შეეთანხმებინა.

რაც შეეხება ჩემპიონ „ლოკომოტივს", კლუბიდან წასვლას ჟორჟე ვაგნერი აპირებს. მისი ახალი გუნდი სავარაუდოდ ბრაზილიის „ინტერი" გახდება. სამისოდ „ლოკომოტივმა" ფეხბურთელს 100 ათასი დოლარი ვალი და განთავისუფლების ფურცელი უნდა მისცეს.

**ვაჟა ხუციშვილი**




ვაგნერ ლავი




**ბელგიის** ნაკრებისა და ამსტერდამის „აიაქსის" თავდამსხმელი უესლი სონკი გერმანულ „მიონხენგლადბახში" გადადის. „გენკის" ყოფილი ფორვარდი „აიაქსში" ძალიან კარგად თამაშობდა, მაგრამ შემდეგ მწვრთნელ რონალდ კუმანთან დაეძაბა ურთიერთობა. „მიონხენგლადბახის" სპორტულ დირექტორ კრისტიან ჰოხშტარერის თქმით, მოსაგვარებელი მხოლოდ ფეხბურთელის პირადი კონტრაქტია.

**ინგლისური** „საუთჰემპტონი" კრიზისიდან გამოსვლას ცდილობს და შემადგენლობის გასაძლიერებლად თვალი ფრანგული პსჟ-ს გამოცდილ სერბ ფორვარდ დანიელ ლიუბოიას დაადგა. მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია და შესაძლოა, მხარეებმა მალე კონტრაქტიც გააფორმონ.

**რუსული** „დინამო" 23 წლის პორტუგალიელი მცველით, ჟორჟე რიბეიროთი გაძლიერდა. ეს უკანასკნელი „პორტუს" ნახევარმცველ მანიშეს უმცროსი ძმაა. ახალგაზრდა ფეხბურთელი მოსკოვურ გუნდში „ჟილ ვისენტედან" გადაბარგდა. შეგახსენებთ, რომ აქამდე „დინამომ" კიდევ ოთხი ფეხბურთელი შეიძინა პორტუგალიური კლუბებიდან.

**ინგლისური** „ბირმინგემი" სერბი მცველის, დუშან პეტკოვიჩის შემატებას აპირებს. ეს უკანასკნელი ამჟამად კლუბთან ერთად ვარჯიშობს და ბირმინგემელთა უფროსობის თქმით, მან კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა. სავარაუდოდ, მხარეები მალე კონტრაქტსაც გააფორმებენ. შეგახსენებთ, პეტკოვიჩი გასული სეზონში მოსკოვის „სპარტაკში" თამაშობდა.

**იტალიური** „იუვენტუსის" მცველი ნიკოლა ლეგროტალიე ბირმინგემის „ასტონ ვილას" სურს. მხარეებმა თითქმის მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც ლეგროტალიე სეზონის ბოლომდე იჯარის წესით ითამაშებს „ვილა პარკზე", შემდეგ კი ბირმინგემელებს მისი გამოსყიდვაც შეეძლებათ.

**ინგლისურმა** „ნორვიჩმა" კლუბის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული ტრანსფერი განახორციელა. გუნდმა პირველი დივიზიონის საუკეთესო მეგოლე, „ქრიუს" 21 წლის ფორვარდი დინ ეშტონი გადაიბირა. „ნორვიჩმა" მასში 3 მილიონი გირვანქა გადაიხადა, ხოლო კონტრაქტი სამწლინახევრიანია კიდევ ერთი წლით გახანგრძლივების პერსპექტივით.

**კამერუნელმა** ნახევარმცველმა ჯერემი ნჯიტაპმა ლონდონური „ჩელსის" დატოვების სურვილი კიდევ ერთხელ გამოთქვა. აფრიკელი ფეხბურთელი „არისტოკრატთა" ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდება, რითაც ძალიან უკმაყოფილოა. „აქაური ვითარება და სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არ მომწონს. მსურს, წასვლის უფლება მომცენ, რათა „მიდლსბროში" გადავიდე. „ბოროსთან" ძალიან კარგი მოგონებები მაკავშირებს" — თქვა ჯერემიმ. აღსანიშნავია, რომ „მიდლსბროს" გარდა კამერუნელის გადაბირება სხვა კლუბებსაც სურთ.

**ინგლისურ** „ვესტ ბრომვიჩს" ორი იტალიელი ფეხბურთელის დამატება სურს. მწვრთნელმა ბრაიან რობსონმა „რომას" ფორვარდ მარკო დელვეკიოსა და „იუვენტუსის" მცველ მარკ იულიანოს დაადგა თვალი. „მჯერა, ეს მოთამაშეები თავიანთი გამოცდილებისა და პროფესიონალიზმის ხარჯზე შეძლებენ ჩვენს დახმარებას. ბუნებრივია, ჩვენი მიზანი პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებაა, რაც არცთუ ისე ადვილია" — თქვა რობსონმა.

**ნორვეგიის** ნაკრებისა და თურქული „ბეშიქთაშის" თავდამსხმელი იონ კარეუ სიკვდილს გადაურჩა. იგი შეცდომით გაფუჭებულ ლიფტში შევიდა, რომელიც მეექვსე სართულიდან მოწყდა და შახტაში ჩავარდა. საბედნიეროდ, კარეუ უვნებლად გადარჩა, მაგრამ სერიოზული შოკი მიიღო.

## იტალია

### სერია B. XX ტური

**არეცო 1:1 ემპოლი**

1:0 აბრუსკატო (22), 1:1 საუდატი (50)

**ბარი 3:0 ვიჩენცა**

1:0 სიბილანო (39), 2:0, 3:0 დონიჯი (50, 60)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჯენოა | 20 | 12 | 7 | 1 | 41:18 | 43 |
| ტორინო | 20 | 11 | 4 | 5 | 26:17 | 37 |
| პერუჯა | 20 | 10 | 6 | 4 | 29:18 | 36 |
| ვერონა | 20 | 10 | 5 | 5 | 41:27 | 35 |
| ემპოლი | 20 | 10 | 5 | 5 | 31:19 | 35 |
| ასკოლი | 20 | 9 | 5 | 6 | 27:25 | 32 |
| ტრევიზო | 20 | 8 | 5 | 7 | 24:24 | 29 |
| პიაჩენცა | 20 | 9 | 2 | 9 | 27:29 | 29 |
| ალბინოლეფე | 20 | 7 | 6 | 7 | 28:24 | 27 |
| მოდენა | 20 | 9 | 3 | 8 | 23:23 | 26 |
| კატანია | 20 | 6 | 8 | 6 | 20:24 | 26 |
| არეცო | 20 | 5 | 10 | 5 | 29:25 | 25 |
| ვიჩენცა | 20 | 8 | 1 | 11 | 31:35 | 25 |
| ტრიესტინა | 20 | 6 | 6 | 8 | 23:28 | 24 |
| ტერნანა | 20 | 6 | 6 | 8 | 18:23 | 24 |
| ჩეზენა | 20 | 6 | 6 | 8 | 25:31 | 24 |
| ბარი | 20 | 5 | 8 | 7 | 21:22 | 22 |
| სალერნიტანა | 20 | 6 | 4 | 10 | 26:35 | 22 |
| კროტონე | 20 | 5 | 6 | 9 | 21:27 | 21 |
| პესკარა | 20 | 4 | 8 | 8 | 19:29 | 20 |
| კატანძარო | 20 | 4 | 5 | 11 | 19:35 | 17 |
| ვენეცია | 20 | 3 | 6 | 11 | 15:26 | 15 |

*„მოდენას" დაკლებული აქვს 4 ქულა, „ბარის" — 1*

## საფრანგეთი

### მეორე დივიზიონი XX ტური

**სედანი 2:0 ნანსი**

1:0 ნორო (42პ), 2:0 ჟანე (72)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანსი | 20 | 12 | 3 | 5 | 29:18 | 39 |
| სედანი | 20 | 9 | 6 | 5 | 20:16 | 33 |
| ტრუა | 19 | 9 | 4 | 6 | 32:27 | 31 |
| გენიონი | 19 | 6 | 10 | 3 | 15:11 | 28 |
| ბრესტი | 19 | 7 | 7 | 5 | 20:20 | 28 |
| დიჟონი | 19 | 7 | 6 | 6 | 20:18 | 27 |
| მონპელიე | 19 | 7 | 5 | 7 | 18:15 | 26 |
| შატორუ | 19 | 5 | 11 | 3 | 21:19 | 26 |
| ლე მანი | 19 | 7 | 5 | 7 | 20:19 | 26 |
| ამიენი | 19 | 6 | 8 | 5 | 18:17 | 26 |
| ლორიანი | 19 | 8 | 2 | 9 | 26:26 | 26 |
| ლავალი | 19 | 7 | 5 | 7 | 21:23 | 26 |
| გენგამი | 19 | 7 | 4 | 8 | 22:24 | 25 |
| რეიმსი | 19 | 6 | 7 | 6 | 19:25 | 25 |
| კლერმონი | 19 | 5 | 9 | 5 | 25:21 | 24 |
| გრენობლი | 19 | 5 | 8 | 6 | 21:25 | 23 |
| ანჟე | 19 | 4 | 8 | 7 | 17:20 | 20 |
| ნიორი | 19 | 6 | 1 | 12 | 18:25 | 19 |
| კრეტეი | 19 | 4 | 6 | 9 | 16:22 | 18 |
| ლე ავრი | 19 | 4 | 5 | 10 | 12:19 | 17 |

## შოტლანდია

### ასოციაციის თასი. მერვედფინალის წილისყრა

აბერდინი — ინვერნესის როსი ან ერდრი — კლაიდის ქუინი — გრეტნა ან დანდი იუნაიტედის ეარი ან სტრანრარი — სენტ მირენის

პარტიკი ან პართსი — კილმარნოკის ალოა — ლივინგსტონი ან მორტონის

ისტ ფაიფი ან დანფერმლაინი — სელტიკის ჰიბერნიანი — ბრეჩინი

*მატჩები გაიმართება 5-6 თებერვალს*

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# ზამთრის ევროპული ტრანსფერები



„ფრაიბურგს" კიდევ ერთი ქართველი, ოთარ ხიზანეიშვილი შემატა

გნებავთ, სატრანსფერო სეზონი დავარქვათ, გნებავთ, ფანჯარა და გნებავთ, ქარვასლა — წელიწადში ორჯერ კლუბები ერთ ფურცელზე თავიანთ უსარგებლო ფეხბურთელებს ჩამოწერენ, მეორეზე — სხვების სასარგებლოებს და ბაზარზე მიდიან. ამის მერე, თუ ერთი კლუბის უსარგებლო ფეხბურთელი მეორე კლუბს სასარგებლოთა სიაში უწერია და ფასიც ყველასთვის მისაღებია, კლუბები ხელი ხელს დაჰკრავენ ხოლმე. ამის მერე სატრანსფერო სეზონი თუ ფანჯარა იხურება, მომდევნო გახსნამდე კი კლუბები ახალ სიებს ჩამოწერენ და ეს პროცესი გაუთავებლად გრძელდება. ქვემორე ჩამონათვალს განმარტება არ უნდა სჭირდებოდეს, ვინძლო მისი დანიშნულება ყველასთვის გასაგები იყოს.

ჩვენ მხოლოდ ის აღვნიშნოთ, რომ ამ ჩამონათვალში ერთი ქართველიც მოხვდა და მისი ვინაობა განსხვავებული შრიფტით გვაქვს აღნიშნული



იესპერ გრონკიაერმა ესპანურ პრიმერადივიზიონს გემო უკვე გაუსინჯა

## გერმანია

| ფეხბურთელი | საიდან | სად |
|---|---|---|
| **ოთარ ხიზანეიშვილი** | **დინამო (რუსეთი)** | **ფრაიბურგი** |
| ფათიჰ აკიელი | ფენერბაჰჩე (თურქეთი) | ბოხუმი |
| ბიქსენტ ლიზარაზუ | მარსელი (საფრანგეთი) | ბაიერნი |
| ენრიკო გაედე | მიონხენგლადბახი | ესენი |
| ბერნარდო რომეო | ჰამბურგი | მალიორკა (ესპანეთი) |
| მოჰამედ ზიდანი | მიდტიულანდი (დანია) | ვერდერი |
| კრეიგ მური | რეინჯერსი (შოტლანდია) | მიონხენგლადბახი |
| ანდრეას იბერტსბერგერი | ზალცბურგი (ავსტრია) | ფრაიბურგი |
| ჰანო ბალიტჩი | ლევერკუზენი | მაინცი |
| მიხაელ ტიურკი | ლევერკუზენი | მაინცი |
| პიოტრ ტროხოვსკი | ბაიერნი | ჰამბურგი |
| იურგენ მახო | რაპიდი (ავსტრია) | კაიზერსლაუტერნი |
| ბერნდ ტიისი | ტრაბზონი (თურქეთი) | მიონხენგლადბახი |
| მიმუნ აზაუაგი | მაინცი | შალკე |
| დიეგო ლეონი | ბოხუმი | არმინია |
| მოარამ ნავიდკია | არმინია | ბოხუმი |
| ლანდონ დონოვანი | ვაშინგტონი (აშშ) | ლევერკუზენი |
| იორგ ბიომე | შალკე | მიონხენგლადბახი |
| ემანუელ სენტურიონი | შტუტგარტი | ველესი (არგენტინა) |
| შტეფან კლინგი | ჰამბურგი | ზაარბრიუკენი |
| კრისტიან ტიმი | კაიზერსლაუტერნი | ფიურტი |
| რადოსლავ კალუჟნი | ლევერკუზენი | ესენი |
| თომას დრეშერი | კაიზერსლაუტერნი | ბურგჰაუზენი |
| იან შლაუდრაფი | მიონხენგლადბახი | ალემანია |
| ანგელოს ხარისტიასი | ვერდერი | აიაქსი (ჰოლანდია) |
| ვლადიმირ ივიჩი | მიონხენგლადბახი | აეკ (საბერძნეთი) |
| ოსკარ აჰუმადა | ვოლფსბურგი | რივერ პლეიტი (არგენტინა) |
| შტეფან მალცი | კაიზერსლაუტერნი | ფიურტი |
| ტედი ლუკიჩი | ლევერკუზენი | ჰეკენი (შვედეთი) |
| კლინტ მატისი | ჰანოვერი | მიონხენგლადბახი |

## იტალია

| ფეხბურთელი | საიდან | სად |
|---|---|---|
| სიმონე ინძაგი | ლაციო | სამპდორია |
| ფაბიო ბაცანი | სამპდორია | ლაციო |
| მასიმო მაკარონე | მიდლსბრო (ინგლისი) | სიენა |
| ლამბროს ხუტოსი | ინტერი | ატალანტა |
| მატიას ალმეიდა | ბრეშა | ვესტ ბრომვიჩი (ინგლისი) |
| ვლადო შმიტი | ბოლონია | პესკარა |
| გუსტავო ლაცარეტი | ბოტაფოგო (ბრაზილია) | უდინეზე |
| სიმონე ერამო | მესინა | ტარანტო |
| ხულიო სეზარ ლეონი | კატანძარო | რეჯინა |
| ჯოვანი მორაბიტო | რეჯინა | კატანძარო |
| დავიდე დიონიჯი | რეჯინა | ბარი |
| ჯორდანო პაგანოტო | ჩეზენა | ბრეშა |
| ალბერტო არამუ | ნაპოლი | კალიარი |
| ანდრეა ალბერტი | ჩეზენა | ბრეშა |
| ლუკა საუდატი | ატალანტა | ემპოლი |
| კუო არნო | ლე მანი (საფრანგეთი) | ლეჩე |
| რიკარდო ალეგრეტი | მოდენა | კიევო |
| დავიდე სუჩი | კიევო | ლუკეზე |
| ჯანი კომანდინი | ატალანტა | ტერნანა |
| რაფაელე ამეტრანო | მესინა | აველინო |
| ჯულიო მილაჩიო | ტერნანა | ატალანტა |

## ესპანეთი

| ფეხბურთელი | საიდან | სად |
|---|---|---|
| დიეგო სიმეონე | ატლეტიკო | რასინგი (არგენტისა) |
| იესპერ გრონკიაერი | ბირმინგემი (ინგლისი) | ატლეტიკო |
| ლუჩანო ფიგეროა | კრუზ ასული (მექსიკა) | ვილიარეალი |
| ხუან პაბლო სორინი | კრუზეირო (ბრაზილია) | ვილიარეალი |
| მაურისიო პელეგრინო | ვალენსია | ლივერპული (ინგლისი) |
| ნიკო ოლივერა | დეფენსორი (ურუგვაი) | ალბასეტე |
| ხოსე ლუისმი | ალბასეტე | მურსია |
| ლუის ანგულო | ბილბაო | ხიმნასტიკი |
| დანიელ ტარანტინო | ბილბაო | ნუმანსია |
| სერხიო არაგონესესი | ატლეტიკო | ხეტაფე |
| მიგელ ხაკობო | ატლეტიკო | პოლი ეხიდო |
| ხოსე ისმაელი | ბეტისი | ელჩე |
| კარლოს ჩანგი | დეპორტივო | პონტევედრა |
| მარკ ბერტრანი | ესპანიოლი | კორდობა |
| ანტონიო სერვულო | ლევანტე | კორდობა |
| კარლოს მიჩელი | მურსია | მალაგა |
| გონსალო დე ლოს სანტოსი | ვალენსია | მალიორკა |
| ტაკასი ოკუბო | შიმიცუ (იაპონია) | მალიორკა |
| ბერნარდო რომეო | ჰამბურგი (გერმანია) | მალიორკა |
| პატრიკ მიულერი | მალიორკა | ციურიხი (შვეიცარია) |
| პულპო გონსალესი | კორდობა | ნუმანსია |
| რაფაელ ხორდა | პერალტა | ნუმანსია |
| რაულ მარტინი | ეიბარი | რასინგი |
| კრისტიან ალვარესი | რასინგი | კორდობა |

## ინგლისი

| ფეხბურთელი | საიდან | სად |
|---|---|---|
| მასიმო მაკარონე | მიდლსბრო | სიენა (იტალია) |
| იესპერ გრონკიაერი | ბირმინგემი | ატლეტიკო (ესპანეთი) |
| ირჟი იაროშიკი | ცსკა (რუსეთი) | ჩელსი |
| კევინ კემპბელი | ევერტონი | ვესტ ბრომვიჩი |
| ჯეიმს ბიტი | საუთჰემპტონი | ევერტონი |
| მატიას ალმეიდა | ბრეშა (იტალია) | ვესტ ბრომვიჩი |
| დინ ეშტონი | ქრიუ | ნორვიჩი |
| ალან ბლეინი | საუთჰემპტონი | რაშდენი |
| რობერტ ბარჩი | ტოტენჰემი | სტივენეიჯი |
| ემანუელ ებუ | ბევერენი (ბელგია) | არსენალი |
| იან ფოლი | საუთჰემპტონი | ნოტინგემი |
| რაიან ნელსენი | ვაშინგტონი (აშშ) | ბლექბერნი |
| ლეს ფერდინანდი | ბოლტონი | რედინგი |
| რობი ბლეიქი | ბარნლი | ბირმინგემი |
| მაურისიო პელეგრინო | ვალენსია (ესპანეთი) | ლივერპული |
| ჯეიმი რედნაპი | ტოტენჰემი | საუთჰემპტონი |
| აარონ მოკოენა | გენკი (ბელგია) | ბლექბერნი |
| ემილ ჰალფრედსონი | ჰაფნარფიორდური (ისლანდია) | ტოტენჰემი |
| დევიდ ლიმბერსკი | პლზენი (ჩეხეთი) | ტოტენჰემი |
| კალუმ დევენპორტი | ტოტენჰემი | საუთჰემპტონი |
| სელესტინ ბაბაიარო | ჩელსი | ნიუკასლი |
| ჟან-ალენ ბუმსონგი | რეინჯერსი (შოტლანდია) | ნიუკასლი |
| ნჯაზი კუქი | ლაჰტი (ფინეთი) | ბირმინგემი |
| დმიტრი ბულიკინი | დინამო (რუსეთი) | კრისტალ პალასი |

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 15:30 | 1 | ლივერპული-მანჩესტერი | 2.5 | 3.2 | 2.6 | 1.4 | 1.27 | 1.43 |
| 18:00 | 2 | სიტი-კრისტალ პალასი | 1.7 | 3.4 | 4.7 | 1.13 | 1.24 | 1.97 |
| 18:00 | 3 | ასტონ ვილა-ნორვიჩი | 1.65 | 3.5 | 4.9 | 1.12 | 1.23 | 2.04 |
| 18:00 | 4 | ნიუკასლი-საუთჰემპტონი | 1.6 | 3.6 | 5.1 | 1.1 | 1.21 | 2.11 |
| 18:00 | 5 | პორტსმუთი-ბლექბერნი | 2.0 | 3.3 | 3.4 | 1.24 | 1.25 | 1.67 |
| 18:00 | 6 | ტოტენჰემი-ჩელსი | 4.7 | 3.4 | 1.7 | 1.97 | 1.24 | 1.13 |
| 18:00 | 7 | ჩარლტონი-ბირმინგემი | 2.05 | 3.3 | 3.35 | 1.26 | 1.27 | 1.66 |
| 20:15 | 8 | ბოლტონი-არსენალი | 5.4 | 3.5 | 1.6 | 2.12 | 1.23 | 1.09 |
| | | **16 იანვარი** | | | | | | |
| 17:00 | 9 | მიდლსბრო-ევერტონი | 2.2 | 3.2 | 3.1 | 1.3 | 1.28 | 1.57 |
| 19:05 | 10 | ფულემი-ვესტ ბრომვიჩი | 1.7 | 3.4 | 4.7 | 1.13 | 1.24 | 1.97 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 22:45 | 11 | ქპრ-სტოკი | 2.15 | 3.3 | 3.0 | 1.3 | 1.25 | 1.57 |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 18:00 | 12 | შეფილდი-ბრაიტონი | 1.6 | 3.4 | 5.5 | 1.08 | 1.23 | 2.1 |
| 18:00 | 13 | უოტფორდი-კრიუ | 2.2 | 3.2 | 3.0 | 1.3 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 14 | ვულვერჰემპტონი-ვესტ ჰემი | 2.55 | 3.1 | 2.55 | 1.39 | 1.27 | 1.39 |
| 18:00 | 15 | ბარნლი-რედინგი | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 | 16 | როტერჰემი-უიგანი | 3.9 | 3.4 | 1.8 | 1.81 | 1.23 | 1.17 |
| 18:00 | 17 | ჯილინგემი-პლიმუთი | 2.2 | 3.2 | 2.95 | 1.3 | 1.26 | 1.53 |
| 18:00 | 18 | იფსვიჩი-ქოვენთრი | 1.5 | 3.5 | 6.3 | 1.04 | 1.21 | 2.25 |
| 18:00 | 19 | ლიდსი-კარდიფი | 1.8 | 3.4 | 3.9 | 1.17 | 1.23 | 1.81 |
| 18:00 | 20 | ნოტინგემი-მილუოლი | 2.5 | 3.2 | 2.55 | 1.4 | 1.26 | 1.41 |
| 18:00 | 21 | პრესტონი-ლესტერი | 1.9 | 3.3 | 3.6 | 1.2 | 1.24 | 1.72 |
| | | **16 იანვარი** | | | | | | |
| 15:00 | 22 | დერბი-სანდერლენდი | 2.45 | 3.2 | 2.6 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 18:00 | 25 | ბარნსლი-ჰადერსფილდი | 2.1 | 3.2 | 3.2 | 1.26 | 1.26 | 1.6 |
| 18:00 | 26 | ბორნმუთი-უესხდი | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 | 27 | ბრისტოლი-ბრედფორდი | 1.95 | 3.3 | 3.4 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| 18:00 | 28 | ჰალი-პიტერბრო | 1.4 | 3.8 | 7.5 | 1.02 | 1.17 | 2.52 |
| 18:00 | 29 | ლუტონი-სტოკპორტი | 1.4 | 3.8 | 7.5 | 1.02 | 1.17 | 2.52 |
| 18:00 | 30 | ოლდემი-დონკასტერი | 2.05 | 3.2 | 3.3 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 18:00 | 31 | პორტ ვეილი-ბრენტფორდი | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 | 32 | სუინდონი-ბლეკპული | 1.75 | 3.2 | 4.5 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| 18:00 | 33 | ტორკი-ჰარტლპული | 2.5 | 3.3 | 2.5 | 1.42 | 1.25 | 1.42 |
| 18:00 | 34 | უოლსოლი-ჩესტერფილდი | 1.95 | 3.3 | 3.5 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 18:00 | 35 | რექსემი-ტრანმერი | 2.8 | 3.3 | 2.25 | 1.51 | 1.24 | 1.33 |
| 18:00 | 36 | დონსი-კოლჩესტერი | 2.45 | 3.2 | 2.6 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **12 იანვარი** | | | | | | |
| 22:45 | 39 | ბოსტონი-საუთენდი | 2.2 | 3.3 | 2.85 | 1.32 | 1.24 | 1.52 |
| | | **შოტლანდია** | | | | | | |
| | | **პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 18:00 | 53 | დანდი-ინვერნესი | 2.15 | 3.1 | 3.1 | 1.26 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 54 | ჰართსი-დანდი იუნაიტედი | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 18:00 | 55 | კილმარნოკი-მოზერუელი | 2.25 | 3.1 | 3.0 | 1.3 | 1.28 | 1.52 |
| 18:00 | 56 | ლივინგსტონი-ჰიბერნიანი | 2.95 | 3.2 | 2.2 | 1.53 | 1.26 | 1.3 |
| 18:00 | 57 | რეინჯერსი-დანფერმლაინი | 1.15 | 5.6 | 12.0 | 1.0 | 1.04 | 3.81 |
| | | **16 იანვარი** | | | | | | |
| 17:00 | 58 | აბერდინი-სელტიკი | 7.3 | 4.2 | 1.35 | 2.66 | 1.13 | 1.02 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 18:00 | 59 | ერდრი-როსი | 2.05 | 3.3 | 2.9 | 1.26 | 1.2 | 1.54 |
| 18:00 | 60 | ჰამილტონი-კლაიდი | 2.65 | 3.2 | 2.3 | 1.44 | 1.23 | 1.33 |
| 18:00 | 61 | პარტიკი-ქუინი | 2.3 | 3.2 | 2.6 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 18:00 | 62 | რეითი-სტ.მირენი | 3.55 | 3.2 | 1.85 | 1.68 | 1.21 | 1.17 |
| 18:00 | 63 | სტ.ჯონსტონი-ფოლკირკი | 2.65 | 3.2 | 2.3 | 1.44 | 1.23 | 1.33 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 18:00 | 64 | ალოა-ეარი | 2.5 | 3.3 | 2.35 | 1.42 | 1.21 | 1.37 |
| 18:00 | 65 | ბერიკი-დამბარტონი | 2.4 | 3.3 | 2.5 | 1.38 | 1.22 | 1.42 |
| 18:00 | 66 | ფორფარი-სტირლინგი | 2.35 | 3.4 | 2.45 | 1.38 | 1.19 | 1.42 |
| 18:00 | 67 | მორტონი-არბროთი | 1.5 | 3.8 | 4.9 | 1.07 | 1.14 | 2.14 |
| 18:00 | 68 | სტრანრარი-ბრეჩინი | 2.15 | 3.3 | 2.75 | 1.3 | 1.2 | 1.5 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 18:00 | 69 | ისტ სტირლინგი-ელგინი | 2.8 | 3.4 | 2.1 | 1.53 | 1.2 | 1.29 |
| 18:00 | 70 | გრეტნა-კოუდენბითი | 1.2 | 5.3 | 9.0 | 1.0 | 1.05 | 3.33 |
| 18:00 | 71 | მონტროუზი-ალბიონი | 1.45 | 3.9 | 5.3 | 1.05 | 1.13 | 2.24 |
| 18:00 | 72 | პიტერჰედი-ისტ ფაიფი | 1.2 | 5.3 | 9.0 | 1.0 | 1.05 | 3.33 |
| 18:00 | 73 | სტენჰაუზმური-ქუინზ პარკი | 2.2 | 3.3 | 2.7 | 1.32 | 1.21 | 1.48 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 20:00 | 74 | ბრეშა-ფიორენტინა | 2.3 | 2.9 | 3.2 | 1.28 | 1.33 | 1.52 |
| 22:30 | 75 | რეჯინა-ინტერი | 4.2 | 3.0 | 1.9 | 1.75 | 1.3 | 1.16 |
| | | **16 იანვარი** | | | | | | |
| 17:00 | 76 | სამპდორია-ბოლონია | 1.75 | 3.2 | 4.7 | 1.13 | 1.27 | 1.9 |
| 17:00 | 77 | ატალანტა-სიენა | 2.25 | 2.9 | 3.25 | 1.26 | 1.32 | 1.53 |
| 17:00 | 78 | კიევო-რომა | 3.1 | 2.8 | 2.4 | 1.47 | 1.35 | 1.29 |
| 17:00 | 79 | ლაციო-პალერმო | 1.95 | 2.9 | 4.2 | 1.16 | 1.33 | 1.71 |
| 17:00 | 80 | ლივორნო-მესინა | 2.1 | 2.9 | 3.6 | 1.21 | 1.32 | 1.6 |
| 17:00 | 81 | მილანი-უდინეზე | 1.45 | 3.7 | 7.0 | 1.04 | 1.2 | 2.42 |
| 17:00 | 82 | პარმა-ლეჩე | 2.15 | 2.9 | 3.6 | 1.23 | 1.34 | 1.6 |
| 22:30 | 83 | კალიარი-იუვენტუსი | 4.2 | 3.2 | 1.8 | 1.81 | 1.25 | 1.15 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 22:00 | 116 | ხეტაფე-ატლეტიკო | 2.7 | 3.0 | 2.55 | 1.42 | 1.31 | 1.37 |
| 23:45 | 117 | მალაგა-სევილია | 2.8 | 2.9 | 2.55 | 1.42 | 1.33 | 1.35 |
| | | **16 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 118 | ოსასუნა-ვალენსია | 2.95 | 2.9 | 2.45 | 1.46 | 1.33 | 1.32 |
| 19:00 | 119 | დეპორტივო-ნუმანსია | 1.45 | 4.0 | 6.5 | 1.06 | 1.18 | 2.47 |
| 19:00 | 120 | ლევანტე-ვილიარეალი | 2.5 | 2.9 | 2.9 | 1.34 | 1.34 | 1.45 |
| 19:00 | 121 | ალბასეტე-რასინგი | 2.15 | 3.1 | 3.3 | 1.26 | 1.3 | 1.59 |
| 19:00 | 122 | ბილბაო-ესპანიოლი | 2.15 | 3.0 | 3.4 | 1.25 | 1.31 | 1.59 |
| 19:00 | 123 | ბეტისი-მალიორკა | 1.6 | 3.5 | 5.4 | 1.09 | 1.23 | 2.12 |
| 21:00 | 124 | ბარსელონა-სოსიედადი | 1.3 | 4.7 | 8.6 | 1.01 | 1.12 | 3.03 |
| 23:00 | 125 | რეალი-სარაგოსა | 1.3 | 4.7 | 8.6 | 1.01 | 1.12 | 3.03 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **12 იანვარი** | | | | | | |
| 20:00 | 138 | კაენი-პსჟ | 3.0 | 2.9 | 2.35 | 1.47 | 1.31 | 1.29 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 139 | ისტრი-მონაკო | 4.2 | 3.1 | 1.8 | 1.78 | 1.25 | 1.13 |
| 22:30 | 140 | მეცი-აიაჩო | 1.85 | 3.1 | 4.2 | 1.15 | 1.28 | 1.78 |
| 22:30 | 141 | ნიცა-ბორდო | 2.35 | 2.8 | 3.1 | 1.27 | 1.33 | 1.47 |
| 22:30 | 142 | რენი-ოსერი | 2.45 | 2.85 | 2.9 | 1.31 | 1.32 | 1.43 |
| 22:30 | 143 | სოშო-ლიონი | 2.95 | 2.9 | 2.4 | 1.46 | 1.32 | 1.31 |
| 22:30 | 144 | სტ.ეტიენი-ლანსი | 2.15 | 3.0 | 3.3 | 1.25 | 1.3 | 1.57 |
| 22:30 | 145 | ტულუზი-სტრასბური | 1.8 | 3.1 | 4.4 | 1.13 | 1.27 | 1.81 |
| 22:30 | 146 | ბასტია-ნანტი | 2.2 | 2.9 | 3.3 | 1.25 | 1.32 | 1.54 |

**ბელგია. I დივიზიონი**

**15 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 177 | ლუვიე-შარლერუა | 2.25 | 3.1 | 2.85 | 1.3 | 1.25 | 1.48 |
| 22:00 | 178 | ბრიუგე-ბევერენი | 1.2 | 5.2 | 11.0 | 1.0 | 1.08 | 3.53 |
| 22:00 | 179 | ბეერსხოტი-გენტი | 2.5 | 3.2 | 2.5 | 1.4 | 1.25 | 1.4 |
| 22:00 | 180 | მონსი-სტ.ტრუიდენი | 2.4 | 3.2 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| 22:00 | 181 | ანდერლეხტი-მუსკრონი | 1.25 | 4.8 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.13 |
| 22:00 | 182 | სტანდარდი-ლიერსი | 1.55 | 3.5 | 5.2 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| 22:00 | 183 | ლოკერენი-სერკლი | 1.7 | 3.3 | 4.4 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| 22:00 | 184 | გენკი-ბრიუსელი | 1.4 | 3.9 | 6.8 | 1.03 | 1.16 | 2.47 |

**16 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 185 | ვესტერლო-ოსტენდე | 1.5 | 3.7 | 5.5 | 1.06 | 1.17 | 2.21 |

**პორტუგალია. სუპერლიგა**

**15 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:45 | 195 | გიმარაეში-ბეირა მარი | 1.7 | 3.3 | 4.4 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| 23:45 | 201 | აკადემიკა-პორტუ | 5.0 | 3.5 | 1.55 | 2.05 | 1.18 | 1.07 |

**16 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 196 | ბრაგა-მორეირენსე | 1.5 | 3.6 | 5.7 | 1.05 | 1.18 | 2.2 |
| 19:00 | 197 | ჟილ ვისენტე-პენაფიელი | 1.8 | 3.3 | 3.8 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 19:00 | 198 | მარიტიმუ-ეშტორილი | 1.65 | 3.4 | 4.5 | 1.11 | 1.2 | 1.93 |
| 19:00 | 199 | რიუ ავე-ლეირია | 2.25 | 3.0 | 2.9 | 1.28 | 1.26 | 1.47 |
| 21:30 | 202 | ნასიონალი-სპორტინგი | 3.6 | 3.2 | 1.85 | 1.69 | 1.22 | 1.17 |
| 23:45 | 203 | ბენფიკა-ბოავიშტა | 1.65 | 3.4 | 4.3 | 1.11 | 1.19 | 1.89 |

**17 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:30 | 200 | სეტუბალი-ბელენენსეში | 1.8 | 3.2 | 4.0 | 1.15 | 1.24 | 1.77 |

**ინგლისი. თასი**

**12 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 222 | ჩელსი-მანჩესტერი | 1.7 | 3.3 | 4.4 | 1.12 | 1.22 | 1.88 |

**იტალია. თასი**

**12 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 223 | პარმა-ფიორენტინა | 2.1 | 2.9 | 3.4 | 1.21 | 1.29 | 1.56 |
| 19:30 | 224 | ბოლონია-ინტერი | 3.05 | 3.0 | 2.2 | 1.51 | 1.27 | 1.26 |
| 22:30 | 225 | სამპდორია-ტორინო | 1.5 | 3.4 | 5.8 | 1.04 | 1.19 | 2.14 |
| 23:00 | 226 | მილანი-პალერმო | 1.35 | 3.7 | 8.0 | 1.0 | 1.15 | 2.52 |

**13 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 227 | ლაციო-კალიარი | 1.8 | 3.1 | 4.1 | 1.13 | 1.25 | 1.76 |
| 17:00 | 228 | უდინეზე-ლეჩე | 1.6 | 3.4 | 4.9 | 1.08 | 1.2 | 2.0 |
| 19:30 | 229 | სიენა-რომა | 3.0 | 3.0 | 2.2 | 1.5 | 1.26 | 1.26 |
| 23:00 | 230 | იუვენტუსი-ატალანტა | 1.25 | 4.6 | 9.5 | 1.0 | 1.1 | 3.09 |

**ესპანეთი. თასი**

**12 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 232 | ელჩე-ნუმანსია | 2.2 | 3.2 | 3.0 | 1.3 | 1.26 | 1.54 |
| 22:00 | 233 | ოსასუნა-ხეტაფე | 1.6 | 3.4 | 5.3 | 1.08 | 1.22 | 2.07 |

**13 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 234 | ვალიადოლიდი-რეალი | 5.75 | 3.6 | 1.5 | 2.21 | 1.18 | 1.05 |

**პორტუგალია. თასი**

**12 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 235 | ლეირია-ნასიონალი | 1.7 | 3.2 | 4.5 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| 18:00 | 236 | რიუ ავე-აკადემიკა | 1.55 | 3.4 | 5.5 | 1.06 | 1.2 | 2.1 |
| 21:30 | 237 | პენაფიელი-მაია | 1.6 | 3.4 | 5.0 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 18:00 | 238 | ბეირა მარი-ესპინიუ | 1.45 | 3.7 | 6.5 | 1.04 | 1.18 | 2.35 |

**საბერძნეთი. თასი**

**12 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 239 | ეგალეო-პაოკ | 2.35 | 3.0 | 2.8 | 1.31 | 1.27 | 1.44 |
| 19:00 | 240 | იონიკოსი-პანათინაიკოსი | 5.3 | 3.6 | 1.5 | 2.14 | 1.16 | 1.05 |
| 20:00 | 241 | კალითეა-ოლიმპიაკოსი | 5.3 | 3.6 | 1.5 | 2.14 | 1.16 | 1.05 |

**ჰოკეი. შვედეთი**

**13 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 304 | ლინჩიოპინგი-ფერიესტადი | 1.95 | 4.1 | 2.45 | 1.32 | 1.08 | 1.53 |
| 21:00 | 305 | მოდო-სიოდერტელიე | 1.65 | 4.4 | 3.0 | 1.2 | 1.06 | 1.78 |
| 21:00 | 306 | იურგორდენი-მორა | 1.8 | 4.4 | 2.6 | 1.27 | 1.06 | 1.63 |
| 21:00 | 307 | ბრიუნესი-მალმიო | 1.6 | 4.4 | 3.1 | 1.17 | 1.05 | 1.81 |

**ჰოკეი. ფინეთი**

**12 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 313 | ლუკო-ტაპარა | 1.8 | 4.0 | 2.75 | 1.24 | 1.08 | 1.62 |

**13 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 314 | ჰელსინკი-ესეტი | 1.55 | 4.4 | 3.4 | 1.14 | 1.06 | 1.91 |
| 19:30 | 315 | იუვესკიულე-ჰაამეენლინა | 2.3 | 4.2 | 2.0 | 1.48 | 1.06 | 1.35 |
| 19:30 | 316 | ტურკუ-იოკერიტი | 2.15 | 4.1 | 2.2 | 1.41 | 1.08 | 1.43 |
| 19:30 | 317 | პელიკანსი-ესპოო | 2.9 | 4.2 | 1.7 | 1.71 | 1.07 | 1.21 |

**14 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 318 | იოკერიტი-იუვესკიულე | 1.25 | 5.0 | 6.0 | 1.0 | 1.03 | 2.72 |

**ჰოკეი. ჩეხეთი**

**14 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 328 | სპარტა-დუკლა | 1.15 | 6.0 | 7.5 | 1.0 | 1.0 | 3.33 |
| 21:00 | 329 | კარლოვი ვარი-ვსეტინი | 1.9 | 4.4 | 2.4 | 1.32 | 1.06 | 1.55 |

**ჰოკეი. შვეიცარია**

**14 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:45 | 344 | ფრიბურგი-ცუგი | 2.1 | 4.2 | 2.2 | 1.39 | 1.07 | 1.44 |
| 21:45 | 345 | სერვეტი-დავოსი | 2.05 | 4.1 | 2.25 | 1.36 | 1.07 | 1.45 |
| 21:45 | 346 | კლოტენი-ციურიხი | 2.25 | 4.2 | 2.05 | 1.46 | 1.07 | 1.37 |
| 21:45 | 347 | ლოზანა-ბერნი | 2.3 | 4.2 | 2.0 | 1.48 | 1.06 | 1.35 |
| 21:45 | 348 | ლანგნაუ-რაპერსვილი | 2.05 | 4.4 | 2.2 | 1.39 | 1.06 | 1.46 |
| 22:00 | 349 | ამბრი-ლუგანო | 2.3 | 4.3 | 2.0 | 1.49 | 1.06 | 1.36 |

**ჰოკეი. რუსეთი**

**12 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13:00 | 357 | სპარტაკი-აკ ბარსი | 5.0 | 4.5 | 1.35 | 2.36 | 1.06 | 1.03 |
| 13:00 | 358 | დინამო-აკ | 1.3 | 4.6 | 5.5 | 1.01 | 1.05 | 2.5 |
| 13:00 | 359 | ლადა-ცსკა | 1.45 | 4.4 | 4.0 | 1.09 | 1.06 | 2.09 |
| 13:00 | 360 | ლოკომოტივი-ნეფტეხიმიკი | 1.5 | 4.4 | 3.7 | 1.11 | 1.06 | 2.0 |
| 13:00 | 361 | მაგნიტოგორსკი-სევერსტალი | 1.5 | 4.4 | 3.7 | 1.11 | 1.06 | 2.0 |
| 13:00 | 362 | ს.იულაევი-მოლოტი | 1.1 | 5.5 | 6.5 | 1.0 | 1.0 | 2.97 |

**13 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13:00 | 363 | ნოვოკუზნეცკი-სიბირი | 1.35 | 4.5 | 5.0 | 1.03 | 1.06 | 2.36 |






# ვახტანგ ნაცვლიშვილი მარტში გადაწყვეტს

## ნაკრები ვატოს ელის, ვატო კი ნაკრების მწვრთნელს

თავად ვახტანგ ნაცვლიშვილსაც და ჩვენც გვქონდა იმედი, რომ ეროვნული ნაკრების კაპიტანი გაზაფხულისთვის მოედანს დაუბრუნდებოდა, მაგრამ... „მარტში ექიმებს უნდა გავესინჯო და სწორედ მაშინ გავიგებ, როდის შემეძლება მოედანზე დაბრუნება" — გვითხრა გუშინ საფრანგეთიდან მობრნებულმა ვახტანგ ნაცვლიშვილმა, სადაც მან გამოკვლევა ჩაიტარა შარშან გაზაფხულზე გახეთქილ, შემდეგ კი ნაოპერაციევ ფილტვზე. მაშ ასე, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ლეგიონერი ჯერაც გაურკვევლობაშია და არც ის იცის, დაეხმარება თუ არა ეროვნულ ნაკრებს სექტემბრის უპრინციპულეს მატჩებში. ვატოს გუშინ მის ჯანმრთელობასთან ერთად ნაკრების საჭირბოროტო საკითხებზეც ვესაუბრეთ...

— საფრანგეთიდან ამ დღეებში ჩამოვედი, მაგრამ დამაიმედებელი ამბები არ ჩამომიტანია. ექიმებმა გამოკვლევა ჩამიტარეს და, სამწუხაროდ, კარგი არაფერი უთქვამთ — ფილტვის რეაბილიტაცია კი შედეგიანად მიმდინარეობს, მაგრამ ჯერ ისე არ გამოჯანმრთელებულა, სრულფასოვან ვარჯიშს შევუდგე.

**— კიდევ რამდენი ხნით მოგიწევს უქმობა?**

— არ ვიცი, მარტში ისევ უნდა ჩავიდე საფრანგეთში და ხელახალი გამოკვლევა ჩავიტარო. არადა, სწორედ ამ დროისთვის ვგეგმავდი მოედანზე დაბრუნებას. „დიჟონიც" გაზაფხულის მოსვლას ელოდა, რომ რეგულარული ჩემპიონატის ბოლოს და პლეი ოფში დავხმარებოდი, მაგრამ...

**— ესე იგი, მარტამდე ბურთს ვერ გაეკარები...**

— ბურთს როგორ ვერ გავეკარები და რომ მოვინდომო, საქართველოს ჩემპიონატშიც არ შევირცხვენ თავს, მაგრამ თუ ძველებური ფორმის აღდგენა მინდა, უნდა მოვიცადო. ახლა ვერაფერს ვიტყვი, ეგებ მარტშივე დავუბრუნდე მოედანს, ან იქნებ, ღმერთმა არ ქნას და, წლეულს საერთოდ ვერ ჩავდგე მწყობრში.

**— ესე იგი, არსებობს შანსი, რომ სექტემბერში ნაკრებს ვერ დაეხმარო?**

— რა თქმა უნდა, არსებობს, მაგრამ მაგაზე ფიქრიც არ მინდა. ჩვენს ეროვნულ გუნდს მეტად საპასუხისმგებლო მატჩები ელის და თუ სრულ მზადყოფნაში არ ვიქნები, თამაშზე უარს ვიტყვი. მოედანზე მხოლოდ ჯარიმების ასაღებად და მეტოქეთათვის ხელში სარტყმელად ვერ გავალ. თუ ნაკრებში ვიქნები, მისთვის მაქსიმუმი უნდა გავიღო და გავამარჯვებინო. შესაძლოა, სექტემბრისთვის თამაშის თავიც მქონდეს, მაგრამ თუ ფორმაში არ ვიქნები, მომიტევეთ და, ნაკრებს ვერ დავეხმარები.

**— არადა, ჩვენს ეროვნულ გუნდს დახმარება მართლაც სჭირდება. ჯგუფიდან გასასვლელად ყველა დარჩენილი მატჩი უნდა მოვიგოთ. როგორ ფიქრობ, მოვახერხებთ?**

— დღეს რამის გადაჭრით თქმა შეუძლებელია და ცოტა არაკორექტულიც. ფიბა-ს ძალიან უაზროდ აქვს შედგენილი ამ საკვალიფიკაციო ტურნირის გრაფიკი. ის ლამის სამი წელი მიმდინარეობს და რაც უნდა გულმოდგინედ ემზადებოდე, თუ მატჩების წინ წამყვანი მოთამაშეები დაგიშავდა, ყველაფერი წყალში ჩაგეყრება. ჩვენსავით უმწვრთნელო ნაკრების მომავლის განჭვრეტა კი, მით უმეტეს, ძნელია.

**— მწვრთნელის პრობლემასაც მივადექით. დრაჟენ ბრაიკოვიჩი გაუშვეს და მისი შემცვლელი ჯერაც არ ჩანს. შენი აზრით, საჩქაროა მწვრთნელის დანიშვნა?**

— ერთის მხრივ მწვრთნელი აუცილებელია, მაგრამ რად გვინდა ის ახლა, როცა ნაკრების ძირითადი ბირთვი საზღვარგარეთაა და ზაფხულამდე საქართველოში ვერ ჩამოვა.

**— შენ ალბათ უცხოელი სპეციალისტის დანიშვნის მომხრე ხარ...**

— ცხადია, მე მხოლოდ საუკეთესო მწვრთნელს ვისურვებდი ჩვენი ნაკრებისთვის, ხოლო ასეთები მხოლოდ უცხოეთში არიან. არც ისეთი უცხოელი გვინდა, დრაჟენ ბრაიკოვიჩი რომ იყო. ასეთ შემთხვევაში აჯობებს, ქართველი მწვრთნელი დანიშნონ.

**— არ ჯობს, საშუალო დონის მწვრთნელი დანიშნონ, ოღონდ დროზე?**

— ზოგადად, საქართველოს ნაკრებს კი ჰყავს ძლიერი შემადგენლობა, მაგრამ მცოდნე მწვრთნელის ხელი მაინც აუცილებლად ესაჭიროება. შესაძლოა, ბევრმა გულშემატკივარმა თქვას, მწვრთნელი ბევრს არ წყვეტს, მთავარი მოთამაშეთა კლასიაო და მწარედ შეცდება. ჩემი აზრით, კალათბურთში უფრო მნიშვნელოვანია მწვრთნელის ფაქტორი, ვიდრე, ვთქვათ, ფეხბურთში. არადა, ფეხბურთელები რამხელა მნიშვნელობას ანიჭებენ თავკაცს, კარგად მოგეხსენებათ. კალათბურთში მწვრთნელი თამაშის რიტმში სისხლხორცეულადაა ჩაბმული, მოედნის კიდეზე დგას და კონკრეტული დავალებების მიცემა შეუძლია, ფეხბურთში კი... მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ, როცა ნაკრების მწვთრნელის დანიშვნაზეა ლაპარაკი, ცოტა მეტი დაფიქრება გვმართებს. თანაც მწარე გამოცდილება გვაქვს ამ საკითხში დრაჟენ ბრაიკოვიჩის გამო.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ჩვენი მარცხი შევარგოთ!

## ოქურმა სან ანტონიოს ჩაუქროლა

10 იანვარი

**მინესოტა 96:105 ლეიკერსი**

მინესოტა: გარნეტი (23 ქულა, 12 მოხსნა, 7 პასი), ჰადსონი (20), სპრიუელი (18)
ლეიკერსი: ბრაიანტი (31), ეტკინსი (23), მიმი (14 ქულა, 17 მოხსნა)

**ჩიკაგო 94:85 გოლდენ სტეიტი**

ჩიკაგო: ჰარინგტონი (20), ჰაინრიხი (14), ჩანდლერი (13)
გოლდენ სტეიტი: კლაქსტონი (24), დანლივი (19), რობ.სონი (14)

**იუტა 97:96 სან ანტონიო**

იუტა: ოქური (23 ქულა, 11 მოხსნა), მაკლეოდი (18), გირიჩეკი (13), ბუზერი (13)
სან ანტონიო: დანკანი (24 ქულა, 13 მოხსნა), პარკერი (20), ჯინობილი (18)

**ბოსტონი 119:101 ორლანდო**

ბოსტონი: პირსი (18), ალენი (16), დევისი (15), პეიტონი (15), ლაფრენცი (15)
ორლანდო: ნელსონი (19), ფრენსისი (18), ჰილი (15)

**ფილადელფია 100:109 პორტლენდი**

ფილადელფია: იგუდალა (22), აივერსონი (21 ქულა, 9 მოხსნა, 9 პასი), ტომასი (16)
პორტლენდი: ვან ექსელი (28), სტუდემაიერი (22), რენდოლფი (18)

გავარსკვლავებული ანდრეი კირილენკოს მარიფათით „იუტა ჯაზს" საკუთარი სიტყვა ეთქმოდა ბობოლებით გადაჭედილ დასავლეთ კონფერენციაში, მაგრამ რაც რუსი დაშავდა, ერთ-ერთი ყველაზე ბეჩავ უგნდად იქცა მთელს ლიგაში. კირილენკო კარგა ხანია, მკურნალობს და ამასობაში „ჯაზმენებმა" თითქმის ყველა მატჩი წააგეს. ლამის ორთვიანი სიმშვიდის შემდეგ გუშინწინ სოლტ ლეიკ სიტის „დელტა სენთერი" ისე ახმაურდა, გეგონებოდათ, ცგაა და „იუტა" ჩემპიონი გახდაო.

მორმონთა მთავარქალაქში ლიგის ლიდერთაგანი „სან ანტონიო" ჩასულიყო და მასპინძელთათვის ეს სულაც არ გახლდათ რიგითი მეტოქე. თან „ჯაზმენები" ბოლო თერთმეტ მატჩში დამარცხებულიყვნენ და ამაზე სამარცხვინო შედეგი 1983 წლის შემდეგ არ ეჩვენებინათ. იუტელები ალბათ ამ უიღბლო სერიის კიდევ რამდენიმე მატჩი დაგრძელებაზე „იქნებოდნენ ყაბულს", ახლა ოღონდ „სან ანტონიო" დაემარცხებინათ, რაკი სწორედ ის ტეხასური გუნდი გახლავთ მორმონთა ნომერი პირველი მტერი მთელ ლიგაში — ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სწორედ მისგან იჩაგრებოდნენ უმოწყალოდ.

2000 წლის 6 თებერვლის შემდეგ „იუტა" 18-ჯერ შეხვდა „სან ანტონიოს" და ყველა მატჩი წააგო. ახლა კი ისეთ მომენტში ეწვივნენ ტეხასელები სოლტ ლეიკ სიტის, რომ მხოლოდ ზედიზედ მე-19 გამარჯვებაზე ფიქრობდნენ.

ჰოდა, ახლა წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა გადაჭედილ „დელტა სენთერში", როცა იუტელი მეჰმედ ოქური გამარჯვების ბურთს სრენის თანხლებით ჩაუგდებდა მოსისხლე სანანტონიოელებს. კირილენკოს არყოფნაში „ჯაზმენებს" ახალი კერპი მოევლინათ, რომელმაც „იუტას" უპრინციპულესი მეტოქე დაამარცხებინა.

ოქურს სასტარტოში არ დაუწყია, მაგრამ რაკი თამაშის ეშხში შევიდა, ყველაზე მეტხანს სწორედ თურქი დატოვა ჯერი სლოუნმა მოედანზე. ოქურმა იუტელებს ყველაზე მეტი, 23 ქულა მოუნაგრა, თანაც უმნიშვნელოვანესი ბურთები მან მატჩის ბოლო წუთზე ჩაყარა.

ქულა-ქულაში მიმდინარე თამაშის დასრულებამდე ორიოდ წუთით ადრე მეჰმედმა კარლოს ბუზერის აცილებული მოხსნა, მყის მეტოქის კალათში ჩატენა და „იუტა" 95:94 დააწინაურა. წამებში ტიმ დანკანმა ლიდერობა დაუბრუნა „სან ანტონიოს" და როცა ოქურმა სირენამდე 30 წამით ადრე სამქულიანი გააცუდა, ტეხასელები უკვე გამარჯვებას ზეიმობდნენ, მაგრამ...

მჭიდრო პრესინგით იუტელებმა მეტოქეს სროლა აიძულეს და მანუ ჯინობილიმ ააცილა. „იუტას" თამაშის გადასარჩენად შვიდი წამი რჩებოდა, გადამწყვეტი სროლის შესრულება კი ჯიმ მაკლეოდს მოუხდა. ბურთი რკალს მოხვდა და... „მე მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობდი: ის ბოლო ბურთი ჩამეგდო და როცა ავაცილე, თითქოს გულში რაღაც ჩამწყდა — იხსენებს მაკლეოდი — იმედგაცრუებისგან გაოგნება ვერ მოვასწარი, რომ აცდენილი ბურთისაკენ მფრინავი მემო (ოქური) დავინახე. წამიც და მან ბურთი კალათში ჩაუშვა. ეს ფანტასტიკას ჰგავდა."

იუტელთა სიხარული დამარცხებული გუნდის მწვრთნელმა გრეგ პოპოვიჩმაც გაიზიარა და მეტოქეს წარმატება ალალად მიულოცა: „მე გახარებული ვარ მათი წარმატებით, „იუტამ" მაქსიმუმის მაქსიმუმი გაიღო და ალალი იყოს მისთვის ეს გამარჯვება."

**ირაკლი პერტაია**



მეჰმედ ოქური



ნიკო ლეჟავას ფოტო

თვრამეტწლამდელებს ნიკო ჭავჭავაძე და მამუკა ტყეშელაშვილი დამოძღვრავენ

# ამ ბიჭებს ნიჭი არ აკლიათ

## თაობა მთავრობის გულს ახარებს

**2005 წელი მეტად დატვირთულია ქართული რაგბისათვის. ყველა ნაკრები ემზადება საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობისთვის. თვრამეტწლამდელები მარტის შუა რიცხვებში ევროპის ჩემპიონატის A ჯგუფში ითამაშებენ. გუნდის მზადების შესახებ მთავარ მწვრთნელ მამუკა ტყეშელაშვილს გავესაუბრეთ:**

— ნაკრების გაძლოლაში ნიკო ჭავჭავაძე მეხმარება, რომელიც აგრეთვე თბილისის „ყოჩების" მწვრთნელიცაა. როგორც იცით, ევროპის პირველობისთვის ვემზადებით, რომელიც ჩრდილოეთ საფრანგეთში, ლილში გაიმართება. მეტოქეებად კი საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის, შოტლანდიის, რუსეთის, რუმინეთისა და ესპანეთის ნაკრები გუნდები გვეყოლება.

**— მოწინააღმდეგეებს იცნობთ?**

— მხოლოდ ვიდეოფირით, თუმცა ვიცით, რომ ძლიერი მორაგბეები ჰყავთ.

**— პირველი თამაში ვისთან გაქვთ?**

— იტალიის ნაკრებთან, 20 მარტს. ვფიქრობთ, მეტად მძიმე მატჩი გველის, რადგან იტალიამ შარშან ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა და ახლაც უდავოდ ერთ-ერთი ფავორიტი გუნდია. მაგრამ ჩვენ პირველი თამაში მაინც უნდა მოვიგოთ, რათა ავტომატურად ოთხეულში მოვხვდეთ და ჩემპიონობისათვის ვიბრძოლოთ.

**— თქვენი ნაკრები რა დონის გუნდია?**

— იმაზე მაღალი დონის ნაკრები გვყავს, რა პირობებშიც გვიხდება მომზადება. ევროპის რეიტინგით კი შარშან მეექვსე ადგილი დავიმკვიდრეთ. რაც მთავარია, არ ჩამოვქვეითდით ქვედა, B ჯგუფში. ახლა მიზანი მხოლოდ ჩემპიონობაა.

**— ევროპის ჩემპიონატზე როდის გაემგზავრებით და გექნებათ თუ არა შეკრება?**

— 18 მარტს გავფრინდებით საფრანგეთში, მანამდე კი მალთაყვაში ვგეგმავთ შეკრებას. რაგბის კავშირიც ცდილობს, მაქსიმალურად კარგი პირობები შეგვიქმნას. ეგებ ტესტ-მატჩებიც ჩავატაროთ, როგორც კლუბებთან, ასევე ცხრამეტწლამდელთა ნაკრებთან. დასავლეთ საქართველოს ნაკრებთანაც გვინდა თამაში.

**— ფიზმომზადებაში თქვენ ამზადებთ ნაკრებს თუ სპეციალისტი გყავთ?**

— ფიზმომზადების ორი მწვრთნელი მივიყვანეთ — დავით ქუთათელაძე და გიორგი ტულუში საკმაოდ კარგად ართმევენ თავს საქმეს, მონდომებულები არიან და ჩვენი ნაკრებისათვის სპეციალური ვარჯიშის სქემაც კი შეიმუშავეს. მენეჯერიც გვყავს, ბესო გოცაძე.

**— რაიმე განსხვავებული სტრუქტურით ხომ არ ავარჯიშებთ ბიჭებს, ეგებ რომელიმე სარაგბო გრანდის სტილსაც ბაძავთ?**

— სამხრეთული სტილი ძალიან მოგვწონს, თუმც რომ ვთქვათ, ახალზელანდიელებივით ვითამაშებთო, არ იქნება სწორი. ისე, როგორც გავიგეთ, რაგბის კავშირს უნდა, რომ თვრამეტწლამდელები, ცხრამეტწლამდელები და ოცდაერთწლამდელები ერთი სისტემით მოემზადონ, რათა მოთამაშე მზად იყოს ეროვნული ნაკრებისათვის.

**— ესე იგი, თქვენი ნაკრები, ასე ვთქვათ, ტრამპლინია უფროსი ნაკრებებისათვის?**

— დიახ, ჩვენი გუნდის მთავარი დატვირთვა არის ის, რომ გამორჩეული მორაგბეები მსოფლიო პირველობისთვის მოვამზადოთ, რომელშიც მომავალ წელს ცხრამეტწლამდელთა ნაკრები მიიღებს მონაწილეობას.

**— ცოტა რამ მორაგბეებზეც გვითხარით. რომელი ხაზი გყავთ გამორჩეული?**

— ასე გადაჭრით ჯერ ვერ გეტყვით. ამჟამად შერჩევის სტადიაში ვართ, იმედებსაც ყველა ხაზზე ვამყარებთ, რადგან ძალიან ნიჭიერი ბიჭები გვყავს.

**— ეკიპირების საკითხი გადაწყვეტილი გაქვთ?**

— გადაწყვეტის პროცესშია. ჯერ არ ვიცით, რა ფირმის ეკიპირება გვექნება. შესაძლებელია, სამამულო წარმოების ფორმაც მოვირგოთ, ალბათ თეთრი-წითელი, ეროვნული დროშის ფერი. ახალი ჰიმნითა და ახალი დროშით პირველად გავმართავთ ოფიციალურ შეხვედრას. ძალიან გვეამაყება და, როგორც ბიჭები ამბობენ, ბოლო ამოსუნთქვამდე იბრძოლებენ გამარჯვებისთვის. დროშასთან დაკავშირებით ერთი ისტორია გამახსენდა, რომელიც რამდენიმე წლის წინ ჩილეში მსოფლიოს ჩემპიონატზე შეგვემთხვა. მაშინ ცხრამეტწლამდელთა ნაკრებთან ერთად ვიმყოფებოდი. მიმდინარეობდა მსოფლიოს პირველობის გახსნის ცერემონიალი. მონაწილე ქვეყნები გამოვიდნენ დროშებით და ტრანსპარანტებით. ამ დროს გამოჩნდა ჩილეში დამზადებული ჩვენი დროშაც, რომელიც იყო სულ შავი, კუთხეში ჩადგმული თეთრი ნაჭრით, მხოლოდ ჩონჩხის თავი აკლდა და მეკობრეების ალამადაც გამოდგებოდა. გვინდოდა, თბილისში ჩამოგვეტანა სამახსოვროდ, რადგან მაშინ B ჯგუფის ჩემპიონები გავხდით, მაგრამ არ გამოგვატანეს. ასე ვთქვათ, შავი დროშით შევედით ისტორიაში.

**— იმედია, ახლა აქედან წაიღებთ დროშას...**

— ახლა უკვე ჭკუა ვისწავლეთ და ასეც მოვიქცევით. ახალი დროშა ძალიან მოგვწონს და ვფიქრობ, ჩვენისთანა ნათელი დროშა იქ ცოტას ექნება.

**— ჩვენი დელეგაცია რამდენი კაცისგან შედგება?**

— 26 მოთამაშე, 2 მწვრთნელი, ექიმი, მასაჟისტი და მენეჯერი.

**— დღესდღეობით ნაკრებში რამდენი კანდიდატი გყავთ გამოძახებული?**

— 60-მდე მორაგბე. აქედან, რა თქმა უნდა, ბევრი ვერ მოხვდება ძირითად გუნდში. ჯერჯერობით გასინჯვის პირველი ეტაპი არ დაგვისრულებია.

**— გავიგეთ, მენეჯერმა ბესო გოცაძემ ევროპის პირველობის პროგრამა მოგვაწოდათ. იქნებ ორი სიტყვით გაგვაცნოთ...**

— პროგრამა ხელთ გვაქვს, ვიცით თამაშების განრიგი, ვარკვევთ სასტუმროს საკითხსაც. მოგვარებულია ტრანსპორტირებაც. გარკვეულია, რომელ მოედნებზე გავმართავთ მატჩებს. რაც შეეხება ფინანსურ მხარეს, ხარჯების ნაწილს ირბ-ი იხდის, ნაწილს კი ფირა-აერი, რომლის ეგიდითაც იმართება აღნიშნული ჩემპიონატი.

**— მსაჯები ცნობილია?**

— იტალიელების გარდა — რომლებსაც შარშანდლის შემდეგ არასახარბიელო რეპუტაცია აქვთ — ყველა განსჯის ჩვენს თამაშებს.

**— ასე კატეგორიულად რატომ? იტალიელებმა რა დაგიშავეს?**

— სადაც კი საქართველოს ნაკრებმა ითამაშა, ჭაბუკებიდან დაწყებული, ეროვნულით დამთავრებული, იტალიელებმა ყველგან პრობლემები შეგვიქმნეს. აქედან გამომდინარე, მათ ობიექტურობაში უკვე ეჭვი გვეპარება.

ნიკოლოზ ჭავჭავაძე ნაკრების მეორე მწვრთნელი — ძალიან დიდი სამუშაო გვაქვს, მაგრამ 1987-88 წლებში დაბადებული ბიჭები საოცრად ნიჭიერები არიან და ადვილად ითვისებენ ჩვენს მითითებებს. თუ კარგ პირობებს შევუქმნით, დიდი მომავალი ელით. ამჟამად ვარჯიშობთ ყოველდღე, სპორტის აკადემიის მოედანზე. ვარჯიშში ძალოსნობას, კერძოდ შტანგის დამატებასაც ვგეგმავთ. მთავარია, სწრაფად მოვემზადოთ, დრო ძალიან ცოტა გვაქვს. თუ საშუალო გუნდებში მოვხვდით, მართლაც დიდი გამარჯვება იქნება.

**ნინო ლეჟავა**

# პატარა ბორჯღალოსნების ევრო-მსოფლიო ამბავ-ხაბარი

**წლეულს** ქართულ რაგბის დახუნძლული სეზონი ელის. ყოველ შემთხვევაში, შარშანდელზე დატვირთული მაინც — ეროვნული ნაკრები ოთხ საერთაშორისო ჯახს გამართავს, რომელიც პარალელურად 2007 წლის მსოფლიო თასის შესარჩევ ეტაპად განიხილება. ჰოდა, გასული წლის ნოემბერში კარგად დაწყებული საქმეს კარგი გაგრძელებაც მოუხდებოდა და იმედია, მარადნაგვემი რუსების გზას მოყოჩაღებულ პორტუგალიასაც გავუყენებთ. ეს რაც შეეხებათ დიდ „ბორჯღალოსნებს", ახლა კი მათ მემკვიდრეებზეც ვთქვათ:

21-წლამდელთა ნაკრები ორი წლის წინ შეიქმნა. შარშან პირველად ითამაშა მსოფლიოს თასის შესარჩევ ციკლში და ნაბიჯი დააკლდა გასვლამდე, როდესაც მასპინძელ რუმინეთთან წააგო. 21-წლამდელები წლეულს გაზაფხულზეც აილესავენ კბილებს სამსოფლიოთასოდ, თუმც რომელ ქვეყანაში გაიმართება შესარჩევი მატჩები, ჯერ უცნობია. ნაკრების თავკაცი ბათუმის „დათვების" მესაჭე ლევან მგელაძეა, რომელსაც „აკადემიის" ერთ-ერთი მწვრთნელი დავით კაკაბაძე ასისტენტობს.

ბოლ სამი წელია, 19-წლამდელები მსოფლიოს თასზე დაფიცებულივით მე-10 ადგილს იკავებენ, რითაც ელიტარულ A ჯგუფში მუდმივად ხვდებიან. ლევან მაისაშვილისა და ბადრი ბოხუას ბიჭები უკვე შეიკრიბნენ და ფიზიკურ მზადებას შეუდგნენ, თუმც მსოფლიოს თასის დაწყებამდე ჯერ დიდი დროა — ამ ფორუმს 28 მარტიდან 17 აპრილამდე, ალბათ, სამხრეთ აფრიკა უმასპინძლებს.

**ილია ნანობაშვილი**



ცხრამეტწლამდელთა თავკაცი ლევან მაისაშვილი

# უძვირესი მანდარინები



**ავსტრალიური** პერთიდან, სადაც მან წინა კვირაში თვისტომ დანიელა ჰანტუხოვასთან ერთად ჰოპმანის თასზე იმარჯვა, სლოვაკი დომინიკ ჰრბატი ახალზელანდიურ ოკლენდში გადაფრინდა. ჩვენც ეგებ ამ უმნიშვნელო გადაფრენისთვის არავითარი ყურადღება არ მიგვექცია, რომ არა ის კურიოზი, რაიც ჰრბატის ოკლენდურ აეროპორტში შეემთხვა — ახალზელანდიელმა მებაჟეებმა მას ჯიბეში პერთიდან გამოყოლილი ორი მანდარინი აღმოუჩინეს და ქვეყანაში ხილის არალეგალური შეტანისთვის 200 ახალზელანდიური ანუ 139 ამერიკული დოლარით დააჯარიმეს. ეგრე ძვირად მანდარინი ცხოვრებაში არ მიყიდიაო, იძახდა თურმე ჰრბატი და 140 დოლარად ბარე 50 კილო მანდარინს ვიყიდიდიო, მერე ასე დასძენდა.

# დავეხმაროთ დაცუნამებულთ!




**მსოფლიო** ამქრის პირველოსანმა როჯერ ფედერერმა თანაამქრელთ ცუნამის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად მოუწოდა. მისი თქმით, მეჩოგნეებმა უნდა მიბაძონ მსოფლიოს ზეპურ მოკრიკეტეთ, რომელთაც ორშაბათს მელბურნში ერთდღიანი საქველმოქმედო რიკტაფელობით დახმარების ფონდში გადასარიცხად თერთმეტ მილიონ დოლარამდე იშოვეს.

ამ მოწოდებით ფედერერი კუიონგში გამოვიდა, სადაც დღეს რვაკაცა ტურნირი იწყება და რომლის მეოთხედფინალშიც ზეგარდმო შვეიცარიელი გასტონ გაუდიოს, დავიდ ნალბანდიანი ტიმ ჰენმანს, ანდრე აგასი ნიკოლას მასუს, ხოლო ენდი როდიკი პარადორნ შრიჩაფანს შეხვდება.

„თუკი ჩოგნის ქნევით დაზარალებულთ ოდნავ მაინც შევეშველებით, მაშინ პირადად მე იმდენს ვითამაშებ, რამდენიც საჭირო იქნება“ — თქვა ფედერერმა.

# გამარჯვების თქმას ნუ აცდით

**მსოფლიოს** ოდინდელმა პირველოსანმა და ავსტრალიის ღია პირველობის ორგზის გამარჯვებულმა ამერიკელმა ჯიმ კურიემ კაცმეჩოგნეებს როჯერ ფედერერის დასამარცხებელი რეცეპტი ასწავლა. მისი აზრით, უძლეველი შვეიცარიელის წამოქცევა უფრო პირველ წრეებშია შესაძლებელი ანუ მანამ, სანამ უკვე ოთხგზის სლემტიტულოსანი ფედერერი შეხურებასა და საჩემპიონო ტემპის აკრეფას მოასწრებს.

„მასთან სათამაშო რომ მქონდეს, ფსონს ჩემს თავზე უფრო პირველ წრეებში ჩავიდოდი — ამბობს კურიე — მისი ოტება სწორედ ადრეტურნირისას თუ შეიძლება, თორემ მეოთხედფინალს თუ უწია, მერე რაღაცის იმედი ნაკლებად უნდა გქონდეს. ვერ ხედავთ, რას უშვება ბიჭებს? თანაც ვინმეს კი არა, ზეათეულელებს... ის მათ არა მარტო ამარცხებს და რამე, არამედ უბრალოდ ანადგურებს. მას ლეიტონ ჰიუიტმაც კი ვერაფერი დააკლო, არადა წლის ბოლოსკენ ის მართლაც საუცხოოდ თამაშობდა.“



# დისკოვერიმ არმსტრონგი აღმოაჩინა

**ველოვარსკვლავი** ლენს არმსტრონგი, რომელსაც უკვე 33 წელი შეუსრულდა, სულაც არ ფიქრობს, გზატკეცილებთან გამოთხოვებას. მას 2005 წლისთვის სერიოზული გეგმები აქვს.

არმსტრონგის გუნდს ახალი სპონსორი ჰყავს — ცნობილი ტელეარხი „DISCOVERY“, რომელმაც აშშ-ს საფოსტო სამსახური შეცვალა. კონტრაქტის პირობებიდან გამომდინარე ლენსმა წლეულს მინიმუმ ერთ პრესტიჟულ რბოლაში უნდა მიიღოს მონაწილეობა, თუმცა ეს რბოლა „ტურ დე ფრანსი“ იქნება თუ არა, სპორტსმენმა ჯერ არ იცის და ამ საკითხის გადაწყვეტას აპრილისთვის გვპირდება.

ახალი სპონსორის წარდგენას, ბუნებრივია, პრესკონფერენციაც მოჰყვა, რომელზედაც არმსტრონგმა განაცხადა, 2005 წელი იქნება ეს თუ 2006, „ტურ დე ფრანსის“ რეისში აუცილებლად გავეშურები ოქროს მეშვიდედ მოსაგებადო.

ერთი დანამდვილებით შეიძლება ითქვას, ლენს არმსტრონგი წლევანდელ სეზონს ისე არ დაიწყებს, როგორც ადრე სჩვეოდა. იგი სეზონს „ტურ დე ფრანსში“ მონაწილეობით ხსნიდა, ახლა კი გადაწყვეტილია, რომ მანამდე რამდენიმე კლასიკურ საველორბოლო შეჯიბრში მიიღებს მონაწილეობას.

არმსტრონგის სიაში რამდენიმე პრესტიჟული რბოლაა: „ტურ ოფ ფლანდერსი“, „რამსტელ გოლდ რეისი“ და „ლიეჟი-ბასტონიე-ლიეჟი“. ასევე „ფლეშ-ვალონიე რეისი“, რომელიც ლენსს 1996 წელს მოუგია.

გუნდის თავკაცმა იოჰან ბრიუნილმა აღნიშნა, რომ მისი გუნდი, რომელშიც 28 სპორტსმენია გაწევრიანებული, რამდენიმე ახალწვეულის ჩათვლით, ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ 2005 წელი ისეთივე წარმატებული გამოდგეს, როგორც 2004. შარშან მათ 33 ოქროს მედალი მოიპოვეს.

ბრიუნელის გეგმებში „ჯირო დიტალიას“ რბოლაში მონაწილეობაც შედის. გამარჯვების იმედს ახალწვეული პაოლო სავოლდელი აძლევს, რომელსაც იტალიური ტური 2002 წელს მოუგია.

გუნდის ერთ-ერთ მთავარ იმედად კი 25 წლის უკრაინელი იაროსლავ პოპოვიჩი დაასახელა.

აქვე ბრიუნელმა ისიც აღნიშნა, რომ გუნდის სამომავლო მიზნებს პირადად ლენს არმსტრონგის გეგმები განაპირობებს.

**ლადო ფულუკიძე**



# ამბავ-ხაბარი

**სარჩელიც ამას ჰქვია!** პროფესიული კრივის ყველაზე სახელიანი პრომოუთერი დონ კინგი ერთი სასამართლო პროცესით 2,5 მილიარდი დოლარით გამდიდრებას გეგმავს. სწორედ ამ თანხას ითხოვს კინგი იმ მედიაკორპორაციებისგან, რომლებმაც, მისი თქმით, ყოველგვარი საბაბის გარეშე დასდეს ბრალი მთელ რიგ მაქინაციებში.



კორპორაციების ვინაობა ჯერ არ ხმაურდება, პრომოუთერს კი უკვე ისეთი ადვოკატები დაუქირავებია, გიგანტურ კორპორაციებთან მოგებული პროცესებით რომ იწონებენ თავს.

▲ ▲ ▲

**მსოფლიო კრივის საბჭომ (WBC) ყველა წონაში საუკეთესო მოკრივეთა ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა.** მნიშვნელოვანი ცვლილებებიდან გამორჩეული ორია — ათეულში მოხვდა კორი სანდერსი, რომელმაც მეშვიდე პოზიცია დაიკავა. დენი უილიამსმა კი ვიტალი კლიჩკოსთან წაგების შემდეგ მეთერთმეტე ადგილზე ჩამოინაცვლა.

▲ ▲ ▲

**ტელეარხ „HBO“-ს თავმჯდომარემ როს გრინბერგმა მსოფლიოს კრივის მამებს ახალი ინიციატივით მიმართა.** მისი აზრით, კარგი იქნებოდა კრივში აბსოლუტური ჩემპიონის გამოვლენა. ამჟამად კრივის სამყარო მსოფლიოს ჩემპიონს 4 სხვადასხვა ვერსიაში ასახელებს. ყოველი ვერსია მეტ-ნაკლებად პრესტიჟულია, თუმცა აბსოლუტური ჩემპიონის არარსებობა სპორტის ამ სახეობას დაღს ასვამს.

გრინბერგმა მაგალითად მოიყვანა კლიჩკოსა და უილიამსის ფასიანი ტელერეპორტაჟი, რომლის საყურებლადაც ფული იმაზე ნაკლებმა კაცმა გაიღო, ვიდრე ტელეკომპანია ელოდა. „ხალხი კლიჩკოს უბრალოდ ერთ-ერთ ჩემპიონად აღიქვამს და არასრულფასოვან ნომერ პირველ მოკრივედ“ — აცხადებს გრინბერგი.

▲ ▲ ▲

**ჟაკ როგი ამ დღეებში კენიას ესტუმრა.** მსოფლიოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი აფრიკის ქვეყნებს ზაფხულის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ კანდიდატურის წამოყენების იდეას სთავაზობს. „2010 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი სამხრეთ აფრიკაში უნდა ჩატარდეს. მოხარული ვიქნები, თუ განაცხადს ოლიმპიადაზეც შემოიტანთ, ზაფხულის თამაშების აფრიკაში ჩატარებას სიამოვნებით დავუჭერ მხარს“ — განაცხადა პრეზიდენტმა.

▲ ▲ ▲



**მარტინა ჰინგისს კორტი არ ეთმობა.** მსოფლიოს ექსპირველი ჩოგანი ორწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ საჩოგნაოდ დაბრუნებას აპირებს — სპორტიდან ტრავმების გამო იძულებით წასული შვეიცარიელი კარიერას მაინც ვერ შეელია და სავარაუდოდ იანვრის ბოლოს, ტაილანდის ქალაქ პატაიაში კვლავ მოიმარჯვებს ჩოგანს. „ეს ჩემს კარიერაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტურნირი იქნება, რადგან მასზე უნდა გამოჩნდეს, შემწევს თუ არა დიდ სპორტში დაბრუნების ძალა“ — ამბობს ჰინგისი.

▲ ▲ ▲

**ჩოგბურთის დიდების დარბაზში მატებაა.** წარსულში ცნობილ ჩოგბურთელებს **ჯიმ კურიეს**, იანიკ ნოას და იანა ნოვოტნას გუშინ დიადთა შორის მიუჩინეს ადგილი. ეს პატივი წილად ხვდა საჩოგბურთო ტურნირების ორგანიზატორ ბუჩ ბუხგოლცსაც. როგორც „დიდების დარბაზის“ დირექტორმა ტონი ტრაბერტმა განაცხადა, გაწევრიანების ოფიციალური ცერემონია წლეულს 9 ივლისს გაიმართება.



▲ ▲ ▲

**2009 წლის საზაფხულო უნივერსიადა ბელგრადში გაიმართება.** ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ინსბრუკში შეკრებილმა მსოფლიოს სტუდენტური ასოციაციების აღმასკომმა. 2005 წელს უნივერსიადა თურქულ იზმირში, 2007 წელს კი ბანგკოკში ჩატარდება.

როგორც ბელგრადის მერი ნენად ბოგდანოვიჩი აცხადებს, უნივერსიადის ჩატარება არც სერბეთის ბიუჯეტს მოუტანს ზარალს და არც თავად ბელგრადისას.

▲ ▲ ▲

**კანადელები, შესაძლოა ერთ საქმეში ჩაიჭრან.** წლეულს, 17-31 ივლისს მონრეალში წესითა და რიგით მსოფლიოს ჩემპიონატი უნდა ჩატარდეს სპორტის საწყლოსნო სახეობებში. თუმცა ჩატარდება თუ არა, კაცმა არ იცის. დაგეგმილი 12 მილიონი დოლარის ნაცვლად ორგანიზატორებმა ჯერ მხოლოდ 4 მილიონი მიიღეს. გარდა ამისა, გაყიდული ბილეთების რაოდენობაც მწირია. დაგეგმილი 6 მილიონის ნაცვლად, რომელიც ბილეთების გაყიდვას უნდა მოეტანა, ბიუჯეტში მხოლოდ 500 000 დოლარია შესული. ქვეყნის მთავრობა მაინც იმედოვნებს, რომ გამოინახება საჭირო თანხები, რათა კანადამ ამ პრესტიჟულ ტურნირს უმასპინძლოს.

# თეთრიწყაროში ძიუდოს სკოლაში ასწავლიან



შოთა ხაბარელი

**გუშინ** ქართულ ძიუდოში მოტრიალე ხალხი თეთრიწყაროს რაიონში შეიყარა. მიზეზი იმ ძიუდოს სკოლის პრეზენტაცია იყო, რომელიც ფუნქციონირებას სექტემბრიდან დაიწყებს. იდეა ქვემო ქართლის გუბერნატორ ზურაბ მელიქიშვილსა და პარლამენტარ გია ხევიაშვილს ეკუთვნოდათ. ქართული ძიუდოს თავკაცებმა ხევიაშვილი ქვემო ქართლის ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტადაც აირჩიეს.

სახელმწიფო სტრუქტურაში მოსაქმეებთან დაკავშირება გვიანობამდე ვერ მოვახერხეთ და კომენტარისთვის საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ შოთა ხაბარელს მივმართეთ.

„ძიუდოს სკოლის გახსნა უდიდესი საქმეა ქართული ძიუდოსათვის და მისი მნიშვნელობა წლების შემდეგ აშკარად თვალში საცემიც გახდება — გვითხრა ხაბარელმა — თეთრიწყაროს სკოლაში არაერთი ნიჭიერი ბავშვი ისწავლის და იცხოვრებს. მათ სპორტის გარდა ზოგადი განათლების მიღების საშუალებაც ექნებათ. ამ საქმისთვის ნახევარი მილიონი უკვე გამოყოფილია და სამუშაოებიც დაწყებულია. სექტემბრიდან უკვე პირველი მოსწავლეებიც გამოჩნდებიან. სკოლის მიდამოები თავად ვნახე და მოხიბლული დავრჩი. შესაძლოა, იგი ეროვნული ნაკრების ბაზადაც გამოგვადგეს“.

**ოთარ მაღლაკელიძე**





# გავლენა გავლენიანებზე

**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა განაცხადა, რომ გადაუწყვეტია, მიმართოს მსოფლიოს სპორტის გავლენიან პირებს, რათა მათ ღირსეული დახმარება აღმოუჩინონ ცუნამისგან დაზარალებულ სამხრეთ აზიის ქვეყნებს. ამ ოლიმპიურმა ჩინოვნიკმა უკვე გაგზავნა შესაბამისი წერილები ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერის, რაგბის საერთაშორისო საბჭოს მეთაურ პოლ ტილიაბის, „ფორმულა 1-ის“ მფლობელ ბერნი ეკლსტოუნის, მეგოლფეთა ასოციაციის ხელმძღვანელის ხიდ მილარის, NBA-ს კომისარ დევიდ შტერნისა და პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის მარკ მაილზის მისამართით.

„ჩემი აზრით, ეს ძალიან კარგი იდეაა და მინდა, რომ ჩემი ჩანაფიქრი განხორციელდეს. ეს იქნება კარგი პროექტი, რომელიც საშუალებას მოგვცემს, მსოფლიო სპორტი გავაერთიანოთ, რათა დახმარება აღმოვუჩინოთ დაზარალებულებს“ — თქვა ჟაკ როგმა.

როგორი იქნება ჟაკ როგის გავლენა გავლენიანებზე, ამას ალბათ მალე შევიტყობთ.



# ცისფერმა დრაკონმა შავი ზღვა გადასცურა



**მსოფლიოს** 42 უძლიერესი რიკისის პირველი წლევანდელი ბაშო ნელ-ნელა ხურდება და ლიდერთა სიაც დღითიდღე თხელდება. მესამე ტურის შემდეგ იმპერატორის თასისკენ მიმავალი გზის თავში სამი სუმოტორი დგას. გუშინ მორიგი გამარჯვებებით გაიხარეს აღმოსავლეთის მეთერთმეტე მაეგასირამ ასასეკირიუმ, მეთოთხმეტე რიგითმა მებრძოლმა, ექსსეკივაკე ტამაკასუგამ და, რაღა თქმა უნდა, იოკოძუნა ასასიორიუმ.

აჯობებდა, „ცისფერი დრაკონის“ წაუგებელი სერია გუშინდელი ტურის შემდეგ შეწყვეტილიყო, მაგრამ სენსაცია არ გამოცხვა და მონღოლმა მანამდე უქულოდ მავალი ჩვენებური კოკაი კვლავაც მოუგებელი დატოვა.

„როგორც ჩანს, დასავლეთის მესამე მაეგასირა კოკაი მრისხანე მოწინააღმდეგესთან საბრძოლველად სერიოზულად მოემზადა — წერს მაკუტის პერიპეტიების წვრილ-წვრილად აღმწერი სუმოს სპეციალური ვებგვერდი — ქართველმა 21-ე საუკუნის პირველ იოკოძუნას კარგა ხანს უბლოკა ხელები და საკუთარ ქამრამდე არ მიუშვა, თუმც ბოლოს მაინც ძლიერმა იმარჯვა. ასასიორიუმ კოკაის წინააღმდეგობაც დასძლია და დაუმარცხებელი სერიაც განაგრძო.“

ერთპიროვნულ ლიდერთა სიას ჩამოშორდნენ სეკივაკეები: ტოჩიაძუმა, ვაკანოსატო და მიაბიამა. პრაქტიკულად წერტილი დაესვა 32 წლის 170-კილოგრამიანი ოძეკის კაიოს გაიოკოძუნებასაც. ამ გოლიათმა ჯერ კიდევ მეორე ტურში დაკარგა წინასწარ ჯიბეში დაგულებული ქულა და მესამეში ამომავალ ვარსკვლავად მონათლულ ცხრამეტი წლის მონღოლ ხაკუხოსთან რომ წაეგო, რაღა გასაკვირი იყო.ს კაიომ მონღოლს მხოლოდ ექვსი წამი გაუძლო.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# მოსკოვს არც ცრემლების სჯერა და აღარც ოლიმპიადის მასპინძლობისა

**მოგეხსენებათ,** 2012 წლის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ 5 ქალაქი-კანდიდატია შემორჩენილი: ლონდონი, მადრიდი, მოსკოვი, ნიუ იორკი და პარიზი. ამას წინათ იმასაც ვიუწყებოდით, რომ ამ ქალაქთაგან გამოკითხული 20 ქვეყნის ჟურნალისტიდან მადრიდის წარმატებისა მხოლოდ ერთს სჯერა, მოსკოვისა კი არავისო.

ეტყობა, საკუთარი შანსებისა აღარც თავად მადრიდელებსა და მოსკოველებს სჯერათ. ყოველ შემთხვევაში, ახლა, როცა, 2012 წლის ოლიმპიური დედაქალაქის ვინაობის გამოცხადებამდე ნახევარი წელიწადიღა რჩება, ეს თარიღი არანაირად არ აღუნიშნავთ არც მოსკოვში და არც მადრიდში. აი, პარიზში, ლონდონსა და ნიუ იორკში კი ზარ-ზეიმი იყო. პარიზში, ისტორიულ ნაგებობებთან აგიზგიზეს ოლიმპიური რგოლები, რომლებიც ყოველღამ იგიზგიზებენ 6 ივლისამდე, მანამ, სანამ სინგაპურში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი გამარჯვებული ქალაქს გამოაცხადებს.

ეს დღე აღნიშნეს ლონდონში და ნიუ იორკშიც, სადაც ოფიციალური განცხადებებით გამოვიდნენ საორგანიზაციო კომიტეტისა და საქალაქო ადმინისტრაციების წარმომადგენლები.

„ნიუ იორკის ოლიმპიური სულისკვეთება ჩამოყალიბდა 10 წელზე მეტი ხნის წინათ და ახლა 180 დღის განმავლობაში სულმოუთქმელად ველით ჩვენი ოცნებების განხორციელებას“ — თქვა ნიუ იორკის მერმა მაიკლ ბლუმბერგმა.

მაშინ, როცა ეს ქალაქები აშკარად აღნიშნავდნენ იმ დღეს, მადრიდში გამოსასვლელი დღე იყო, რუსეთის დედაქალაქში კი ყველანი მართლმადიდებლური შობის დღისთვის ემზადებოდნენ და ოლიმპიადა აღარც ახსოვდათ.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



## ინგლისი

**პირველი ლიგა**
**გადადებული მატჩი**

პიტერბრო 2:2 რედსემი

**მეორე ლიგა**
**გადადებული მატჩები**

მენსფილდი 0:0 კემბრიჯი

გრიმსბი 1:2 ნორთჰემპტონი

**კონფერენს ლიგა**
**გადადებული მატჩი**

ჰალიფაქსი 1:0 ძროული

**ლიგის თასი**
**ნახევარფინალი**

ლივერპული 1:0 უოტფორდი

## ესპანეთი

**სამეფო თასი**
**1/8 ფინალი. I მატჩები**

უელვა 0:2 სევილია

გრამანეტი 2:0 ლეიდა

## შოტლანდია

**მესამე დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

ისტ სტირლინგი — სტენჰაუზმური გადაიდო

**ასოციაციის თასი**
**1/16 ფინალი. გადათამაშება**

გრეტნა — დანდი იუნ. გადაიდო

*ლივინგსტონი* 2:1 მორტონი

## საფრანგეთი

**I დივიზიონი. XX ტური**

ლილი 1:2 მარსელი

**II დივიზიონი. XX ტური**

ბრესტი 2:2 გენგამი

შატორუ 3:0 ლორიანი

დიჟონი 1:1 ტრუა

გრენობლი 0:1 ნიორი

გენიონი 2:0 კლერმონი

ლავალი 1:2 რეიმსი

ლე ავრი 1:0 ამიენი

ლე მანი 1:0 კრეტეი

მონპელიე 2:1 [illegible]



# საჰარაში სიკვდილი დაქრის

**დაკარის** რალი ავტო-მოტოსპორტში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და ამავე დროს სახიფათო შეჯიბრებაა. 47 წლის განმავლობაში, რაც ეს ტრანსაფრიკული რბოლა ტარდება, მის გაუვალ გზებზე წლევანდლამდე უკვე 20 სპორტსმენი დაიღუპა.

სამწუხაროდ, წლევანდელმა რბოლამაც ვერ ჩაიარა უმსხვერპლოდ.

ორშაბათს ესპანელმა მოტომრბოლმა ხოსე მანუელ პერესმა მოტოციკლიდან ვარდნისას შინაგანი ორგანოები დაიზიანა. სასწრაფო ოპერაცია სპორტსმენს დაკარში გაუკეთეს და შემდეგ ესპანეთში, ალიკანტეს კლინიკაში გადააფრინეს, თუმცა იგი სამშობლოში ჩაყვანისთანავე გარდაიცვალა.

ორშაბათის მონაცემებით მეორე ადგილს იტალიელი ფაბრიციო მეონი იკავებდა. „აფრიკელი“ — ასე უწოდებდნენ სამშობლოში ფაბრიციოს — რალის დაწყების წინ აცხადებდა, ეს ჩემი უკანასკნელი შეჯიბრი იქნებაო.

საბედისწეროდ აუხდა ნათქვამი. მეონიმ გუშინ ქვიშის დიუნებზე გავლისას საჭე ვერ დაიმორჩილა და მოტოციკლიდან გადმოვარდა. იტალიელი ადრევე აკრიტიკებდა რალის ორგანიზატორებს, მარშრუტი ზედმეტად გართულებული და სახიფათოაო. ვინ იცის, ეგებ გული ცუდს უგრძნობდა. პერესის სიკვდილის შემდეგ კი ალბათ ნერვებმაც უმტყუნა.

მავრიტანიულ ქალაქ ატარსა და მალიურ ქალაქ კიფას შორის გზაზე სადაც უბედურება მოხდა, მედიკოსებმა ვერტმფრენით მიაღწიეს, თუმცა მეონის გადარჩენა ვეღარ მოხერხდა.

ფაბრიციოს დაკარი 2001 და 2002 წლებში მოუგია, სახელის და ტიტულების გარდა კი ორი შვილიც დარჩა.

**ლადო ფულუკიძე**

# სიდნეის მზეში

სიდნეის ჩოგბურთის საერთაშორისო ტურნირზე ბევრი მზე და ბევრი კარგი გოგოა: ავსტრალიის მოქალაქედ მყოფი კრიჯის მსოფლიოს ჩემპიონი კოსტია ძიუ კორტზე ჩასულა და ერთ დროს თანამემამულე რუს გოგონებთან გადაუღია ფოტო. კაი ძალუმი გოგოები ჩანან: ელენა დემენტიევა (მაღალი), ვერა ზვონაროვა და ელენა ლიხოვცევა. ცენტრალური კორტის ტერასიდან კი გადის ოზური საპნის ოპერის ვარსკვლავი ბეკ კარტრაიტი, ლეიტონ ჰიუიტის ახალი გელფრენდი. ჰიუიტმა ეს წუთია ჩეხ კაროლ ბეკს მოუღო ბოლო, 6:1, 6:2.

REUTERS სიდნეიდან







# ფრანგები უდაბნოში

ბარსელონა დაკარი: უკვე კაი მაგარი ქვიშებია. ფრანგი სტეფან პეტერანსელის „მიცუბიში პაჯერო 13" ჯერჯერობით უსწრებს თანამემამულე ლუკ ალფანის იგივე მარკის მანქანას. დაკარამდე ჯერ შორია.

# კოტბუსის ყინვაში

ბუნდესლიგა ისვენებს, მაგრამ ამხანაგური თამაშობანი გრძელდება და ნორჩებსაც უხარიათ. „ბაიერნის" ნორჩი ქომაგები კოტბუსის „ენერგის" ძლევას ზეიმობენ კოტბუსისავე „აკადემიის" სტადიონზე. გერმანიაში ცივა, ნორჩებს კი არ სცივათ. ფეხბურთმა იცის.






# ქალთა ტიტული

ბუზის წონის ქალ მოკრივეთა საჩემპიონო ბრძოლა გერმანულ მაგდებურგში 15 იანვარს გაიმართება: ჩემპიონად მყოფი გერმანელი რეგინა ჰალმიხი (მარჯვნივ) დომინიკელ მერლინ ერნანდეს შეერკინება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხიმერიკი, ვაჟა ჩუცეიშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კლაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ილია ნანობაშვილი, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუზუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზბეგის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge